www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 19 სექტემბერი, 2012 წელი. | №3115 (208) | ფასი 50 თეთრი

ძალადობა გლდანის ციხეში

საპროტესტო აქცია ფილარმონიასთან.

news.ge

გუშინ, დღის ბოლოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის გადაწყვეტილებით, უწყების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭაკუა თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

"ამერიკა ფიქრებით ქართველი ხალხის გვერდით არის"

მარი ახსიაშვილი

ამერიკელმა კონგრესმენებმა - ჯონ ემერსონმა, მაიკ ტერნერმა, მაიკ როსიმ და ბენ ჩენდლერმა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შესახებ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. წერილი The Hill-ის კონგრესმენების ბლოგზე გამოქვეყნდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ანტიისლამური ფილმის საპროტესტო გამოძახილი

პროტესტი პაკისტანურად...

ხათუნა გაბიევი

ძალადობა ახლო აღმოსავლეთში, რომლის პროვოცირების მიზეზიც ანტიისლამური ფილმი გახდა, ამ დრომდე ჩამცხრალი არ არის. ლიბიაში დაწყებული და შემდეგ უმოკლეს დროში 14-ზე მეტ ქვეყანაში გავრცელებული საპროტესტო ტალღა ჯერ ანტიამერიკული განწყობით გამოიხატა, შემდეგ კი ზოგადად ანტიდასავლური პროტესტის ფორმა მიიღო.

გამოიკვეთა "მუსლიმთა უმანკოების" ავტორების ვინაობაც, პირველი, ვინც თანაავტორობა აღიარა, ეგვიპტელი კოპტი ნაკულა ბასელ ნაკულა იყო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებში ცხოვრობს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ეროვნული მუზეუმის ანგარიში - აღმოსავლური კოლექცია

ბელა ჩეკურიშვილი

"მართალია, არქეოლოგები ვართ და ჩვენი საქმე წარსულის კვლევაა, მაგრამ მაინც მომავლისკენ ვიყურებით. ეს პროექტი კი მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა საქართველომ მსოფლიო კულტურაში თავისი ადგილი დაიმკვიდროს," - ასე შეაფასა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ პროგრამა, რომელიც საქართველოში ევროსაბჭოს დაფინანსებით 2 წლის მანძილზე მიმდინარეობდა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606⇓
1 ევრო	2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294⇓
1 თურქული ლირა	0.9089⇓
100 რუსული რუბლი	5.1422⇓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4

ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

თორნიკე შენგელია: "ვეცდები, მინიმალური დრო მაქსიმალურად გამოვიყენო"

თორნიკე შენგელია რამდენიმე დღეში ამერიკაში გაემგზავრება, სადაც ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ გუნდ "ბრუკლინ ნეთსში" ელიან. 20 წლის ქართველი კალათბურთელი ბრუკლინელებმა დრაფტის საღამოს "ფილადელფიისგან" შეიმატეს და საზაფხულო ლიგაზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ შენგელიას კონტრაქტი გაუფორმეს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

რომნიმ ობამას მხარდამჭერები აგდებულად მოიხსენია

სალომე ჭანიაშვილი



ამერიკელ ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი პარაზიტები არიან. ისინი არ იხდიან საშემოსავლო გადასახადებს, არ სურთ საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის აღება და დარწმუნებულნი არიან, რომ სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს მათზე. ამიტომაც არასდროს მისცემენ ხმას რესპუბლიკელებს. - ასეთი განცხადება გააკეთა პრეზიდენტობის კანდიდატმა მიტ რომნიმ თავის სპონსორებთან კერძო საუბრის დროს.

პრეზიდენტობის კანდიდატის ეს საუბარი ვიდეოკამერით არის გადაღებული, რომელიც ორი დღის წინ "მაზერ ჯონსმა" გაავრცელა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

პრეზიდენტმა გურიაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა

გუშინ მიხეილ სააკაშვილი გურიაში ჩავიდა. პრეზიდენტმა სასწავლო წლის დაწყება აღნიშნა, რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი დაათვალიერა და მოსახლეობას რეგიონში განსახორციელებელ გეგმებზე ესაუბრა.

პრეზიდენტმა პედაგოგებს სასწავლო წლის დაწყება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათში მიულოცა, სადაც გუშინ ახალი სკოლა გაიხსნა. 300 მოსწავლისთვის გათვალისწინებული სასწავლებელი ერთ წელიწადში აშენდა. ახალ შენობაში მოსწავლეებს კომპიუტერებით აღჭურვილი "მომავლის კლასიც" დახვდათ.

ჩიბათიდან სააკაშვილი სოფელ მამათში ჩავიდა, სადაც გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა. 17,5 კმ-იანმა გზამ სოფლები შუხუთი, აცანა, მამათი და ძიმითი ერთმანეთს უნდა დააკავშიროს. გზის პარალელურად, სანიაღვრე არხების და ხიდის მშენებლობაც მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 110 ადამიანია დასაქმებული. მათი უმეტესობა ადგილობრივია.

მიხეილ სააკაშვილი ურეკშიც ჩავიდა და "გურია პარკი" ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან ერთად დაათვალიერა. ურეკში რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მომავალი წლისთვის იქ განახლებული სანაპირო ზოლი უნდა მოეწყოს.

პრემიერი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სოფლებს ესტუმრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში რამდენიმე სოფელს ესტუმრა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, მერაბიშვილი ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოში გაზიფიცირების დასრულებული სამუშაოების შედეგებს გაეცნო. მან ხვარაძეების ოჯახში გაზქურა პირველმა აანთო და მათ მთავრობის მიერ დაგეგმილ კიდევ ერთ სიახლეზე მიანოდა ინფორმაცია. კერძოდ, ვანო მერაბიშვილის განცხადებით, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ მოქალაქეს ბუნებრივი აირის სახლში შეყვანის საფასურის დაფარვა 1000-ლარიანი ვაუჩერის მეშვეობითაც შეეძლება, რომელიც 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება.

მოგვიანებით პრემიერ-მინისტრი ამბროლაურის რაიონის სოფელ კვარცხუთში სეტყვისგან დაზიანებული ვენახების მეპატრონეებსა და ადგილობრივი ღვინის ქარხნის წარმომადგენლებს შეხვდა. მერაბიშვილის განცხადებით, დაზარალებული მოსახლეობა უახლოეს დღეებში მიიღებს სასურსათო დახმარების პაკეტებს, ხოლო დაზიანებულ ყურძენს ადგილობრივი ღვინის ქარხნები კილოგრამს 1.5 ლარად ჩაიბარებენ.

პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა დაზიანებული ყურძნის მოსავლის დროულად, უახლოეს დღეებში დაბინავებაზეც. ამ მიზნით ვანო მერაბიშვილმა ადგილობრივ გამგეობას დაავალა, სტიქიისგან დაზარალებულ მევენახეებს მოსავლის აღებასა და ტრანსპორტირებაში დაეხმარონ.

პრემიერ-მინისტრმა ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულში შპს "ალექსანდროულის" ღვინის ქარხანაც დაათვალიერა და ქარხნის ხელმძღვანელობას ყურძნის, მათ შორის სტიქიისგან დაზიანებული მოსავლის დროულად მიღება-გადამუშავების დეტალებზე ესაუბრა.

ძალადობა გლდანის ციხეში

პირველი გვერდიდან

ამის მიზეზი გლდანის მე-8 საპყრობილეში მომხდარი ფაქტები გახდა.

შსს-ს დეტექტივ ნიკა კობახიძის განცხადებით, შსს-მ გლდანის მე-8 საპყრობილიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება დაიწყო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ პატიმართა მიმართ განხორციელებულ დამამცირებელ ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე.

"შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ერთობლივად განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, ოპერატიული მორიგე ინსპექტორი ვლადიმერ ბედუკაძე და მათი გავლენის ქვეშ მყოფი რამდენიმე პირი, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ახორციელებდა პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას, რასაც იღებდნენ ვიდეოფირზე," - განაცხადა შსს-ს დეტექტივმა, რომლის თქმითაც, მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ორგანიზება, ვიდეოფირზე დაფიქსირება და სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ დამკვეთებისათვის გადაცემის შეთავაზება საპყრობილის თანამშრომლებმა მიიღეს ამავე საპყრობილეში განთავსებული, "ქართული ოცნების" დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატის მამის, თამაზ თამაზაშვილისაგან.

"ამ ეტაპზე გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ დანაშაულის დამკვეთ მხარესთან კონტაქტის უზრუნველყოფა ხორციელდებოდა თავდაპირველად თამაზ თამაზაშვილის, ხოლო შემდგომ თამაზ ელიზბარაშვილის მეშვეობით," - განაცხადა ნიკა კობახიძემ.

ლევან ფურცხვანიძის სამუშაო კაბინეტის ჩხრეკისას ამოიღეს პატიმართა არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეოფირი და 17 000 აშშ დოლარი.

ნიკა კობახიძის განცხადებით, არსებობს ვარაუდი, რომ, გარდა აღნიშნულ ფირზე ასახული ფაქტისა, ჩადენილია სხვა ანალოგიური დანაშაული.

დაკავებული არიან ბრალდებულები: გლდანის მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, განყოფილების კონტროლიორი ლევან ფხალაძე და განყოფილების ინსპექტორი ბორის ფარულავა, ხოლო ვლადიმერ ბედუკაძის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პატიმართა სასტიკი ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალის ნაწილი გაავრცელა. დეტექტივ ნიკა კობახიძის განცხადებით, გავრცელებული ვიდეომასალა შედარებით მსუბუქია იმასთან შედარებით, რაც გამოძიებას გააჩნია.

"მე ხვალ ფეხზე დავაყენებ მთელ მსოფლიო საზოგადოებას, რათა თამაზ თამაზაშვილს არაფერი ავნონ," - ამის შესახებ კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მისი თანაგუნდელის, თამაზ თამაზაშვილის საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

კოალიციის ლიდერის თქმით, პატიმრობაში მყოფი თამაზ თამაზაშვილი მისი ახლობელია და მასთან წლების განმავლობაში თანამშრომლობდა.

"თამაზ თამაზაშვილი ჩემთვის ძალიან ახლობელია. ის წლებია ჩემთან თანამშრომლობს. ახლა მისთვის ახალ ავანტიურას აწყობენ," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

"გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულება ყოველთვის გამოირჩეოდა პატიმართა უფლებების უგულვებელყოფისა და დარღვევის სიმრავლით. სახალხო დამცველი არაერთ ანგარიშში მიუთითებდა გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და ღირსების შემლახავი ფაქტების შესახებ, თუმცა სამწუხაროდ ყველა ასეთი ფაქტი ძირითადად სათანადო რეაგირების გარეშე რჩებოდა, როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების მიერ," -

მომხდარ ფაქტს გამოეხმაურა სახალხო დამცველი, რომელიც მთავარ პროკურორს მიმართავს, რომ მოხდეს ყველა დამნაშავე პირის დროულად იდენტიფიცირება და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. ომბუდსმენი მოუწოდებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუჩეროს ყველა იმ მოხელეს, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მუშაობდა N8 დაწესებულებაში და დღესაც აგრძელებს სისტემაში მუშაობას. ომბუდსმენი ასევე საჭიროდ მიიჩნევს სასჯელაღსრულების მინისტრის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დასმას.

გუშინვე, მოგვიანებით, საგანგებო განცხადება გააკეთა სასჯელაღსრულების მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ. მისი თქმით, **"ყველას, ვინც პატიმართა უფლებების დარღვევის პროვოცირებას გარედან ცდილობს, კანონის ფარგლებში საკადრისი პასუხი გაეცემა ,"** - განაცხადა მან საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე.

კალმახელიძის თქმით, სისტემის დისკრედიტაციის მიზნით, პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სტანდარტებამდე სისტემაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

დღოს ბოლოს კი თავად ხათუნა კალმახელიძემ განაცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭაკუას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მისივე განმარტებით, ამ დროისთვის რამდენიმე პირი, რომელიც გავრცელებულ ვიდეოებში ფიგურირებს, დაკავებულია, რამდენიმეზე კი ძებნაა გამოცხადებული. ხათუნა კალმახელიძის განცხადებით, კადრები, რომლებიც იხილა, მისთვის შემზარავია.

"რამდენიმე კვირაა, რაც შსს-ს მიერ მიმდინარეობს გამოძიება სასჯელაღსრულების სისტემაში მსჯავრდებულთა უფლებების დარღვევის შესახებ და გამოძიებამ საკმაოდ შემზარავი სურათი გვაჩვენა. ეს შემაშფოთებელია. შემზარავია ისიც, რომ ადამიანის უფლებების დარღვევების შეკვეთა და მისი დაფიქსირება ხდებოდა პოლიტიკურად მოტივირებული პირების მიერ. შესაბამისად, ჩვენთვის ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი. არავითარ შემთხვევაში არ მოვითმენთ ადამიანის უფლებების დარღვევას. კადრები, რომელიც ვიხილეთ არის ერთიანი საქმის ნაწილი და ჩვენი უპირველესი პრიორიტეტია ის, რომ ყველა პირი, რომელმაც მსჯავრდებულთა უფლებების დარღვევა მოახდინა, იყოს დასჯილი," - განაცხადა კალმახელიძემ.

მისივე განმარტებით, ამ დროისთვის სასჯელაღსრულების სისტემაში სიტუაცია კონტროლზეა აყვანილი და აქვე პატიმართა მშობლების წინაშე პირობა დადო, რომ მსგავს ქმედებას ადგილი აღარ ექნება. **"ჩვენ რამდენიმე კვირაა გვაქვს ინფორმაცია, რომ პოლიტიკურად მოტივირებული პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სიტუაციების შეკვეთას სასჯელაღსრულების სისტემაში, იყო მცდელობა არეულობების შეკვეთის და ა.შ. შესაბამისად, ეს საჭიროებდა შესაბამის რეაგირებას ჩვენი მხრიდან და ჩვენ არასდროს მოვითმენთ ადამიანის უფლებების დარღვევას. მიუხედავად იმისა, თუ რა თანამდებობა უკავია ადამიანს, ყოველთვის გვექნება შესაბამისი რეაგირება კანონის ფარგლებში,"** - აღნიშნა კალმახელიძემ.

გუშინ გვიან ღამემდე გლდანის ციხესთან პატიმართა მშობლების და "ქართული ოცნების" მხარდამჭერების საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა.

ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე კი, პროტესტის ნიშნად, შიმშილობის აქცია დაიწყეს "ინფო-9"-ის ჟურნალისტმა ნინო ფორჩხაძემ, "მე-9 არხის" ჟურნალისტმა ლიზა გეგეჭკორმა და ემიგრანტმა ზურაბ მაისურაძემ. მათი განცხადებით, პროტესტის უკიდურეს ფორმას იქამდე გააგრძელებენ, სანამ სასჯელაღსრულების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე არ გადადგება და ქვეყანაში არსებული სიტუაცია არ შეიცვლება. აქციის მონაწილეებმა ფილარმონიასთან გზა გადაკეტეს.

"ჩვენ ასარევი და დასანგრევი ქვეყანა არ გვაქვს"

მარი ახსიაშვილი

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაბა ყულევში კარბამიდის ქარხნის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. ქარხანას, რომელიც 24 ჰექტარზე განთავსდება, აზერბაიჯანული კომპანია "სოკარ ჯორჯია ინვესტმენტი" აშენებს. პრეზიდენტის თქმით, მშენებლობაზე 1500 ადამიანი დასაქმდება, ხოლო წარმოებაში - 700 ადამიანი.

მშენებლობის გახსნის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ფოთის, ლაზიკას და მთლიანად შავიზღვისპირა ზოლის სამომავლო განვითარების გეგმებზე, მომგებიანობასა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

"ფოთის თავისუფალი ზონის იდეა რეალურად ისხამს ხორცს და შინაარსით ივსება. ეს არის, საერთო ჯამში, ქარხნიანად, ნავმისადგომიანად მილიარდი დოლარის ინვესტიცია ფოთში შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში. ეს არის 1 500 დასაქმებული ფოთელი. ეს ნიშნავს იმას, რომ კიდევ 3-4 ასეთი საწარმო და ფოთში, სუფსასა და გარშემო სოფლებში უმუშევრობა საერთოდ აღარ იქნება. ფოთი კი ნამდვილი ინდუსტრიული ცენტრი გახდება," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ფოთის ზონის განვითარების პარალელურად, უდიდესი მნიშვნელობა ექნება ლაზიკას, რომლის მშენებლობაც უახლოეს დღეებში დაიწყება.

"ხშირად ამბობენ, მიხედეთ სხვა ქალაქებს, რა დროს ახალი ქალაქის მშენებლობაა. ლაზიკა არის 3-ჯერ, 4-ჯერ მეტი ფულის ამოღების და შემდგომ ამ ფულის მთელ ქვეყანაზე გადანაწილებისთვის ჩადებული ინვესტიცია. ეს აკვიატება არ არის. ეს რეალური გეგმაა, რადგან ერთადერთი ყველაზე ღრმა კანიონი, 20 მეტრის სიღრმის, არის ლაზიკას ტერიტორიაზე, ანაკლია-ყულევის ზონაში და შავ ზღვაზე არსებობს მხოლოდ ერთი ასეთი პორტი - კონსტანცა. ჩვენ ლაზიკას პორტში, ჯამში, რამდენიმე ასეული მილიონის ინვესტიციას ჩავდებთ. შემდეგ კი პორტი ააშენებს ქალაქს და ამოიღებს რამდენიმე მილიარდის მოგებას," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, შავი ზღვის ინდუსტრიული ზონის შექმნა არ არის პროექტი, რომელიც ერთ რომელიმე მთავრობას და გუნდს ეკუთვნის. მისი მრავალწლიანი სტრატეგიული განვითარება, რასაც ქვეყნის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდისთვის, ასევე ქვეყნის რეინტეგრაციასა და დეოკუპაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მომავალმა მთავრობებმაც უნდა განაგრძონ.

"რა თქმა უნდა, მუდმივი ამ ქვეყანაზე არავინ არის. ეს მუდმივად უნდა გააგრძელოს ყველა მთავრობამ. თუმცა, რა თქმა უნდა, მე და ჩემი გუნდი ვაპირებთ, ამ გეგმაზე ინტენსიური მუშაობა შემდეგი წლების განმავლობაშიც გავაგრძელოთ. ეს უნდა იყოს ნაციონალური იდეა, რომ შენი სანაპირო განვითარდეს. აი, ამ თემებზე უნდა შევთანხმდეთ ყველა ერთად, როგორი პოლიტიკური ბრძოლები და საარჩევნო კამპანიებიც არ უნდა იყოს. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მალე ჩაივლის და აღმშენებლობა გაგრძელდება ზუსტად ისე, როგორც მანამდე," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ არც ერთი კვადრატული მეტრი აუთვისებელი არ დარჩება.

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა ამბროლაურის რაიონში შაორის ტბაზე ტურისტული კომპლექსის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. პრეზიდენტმა საძირკველში სიმბოლურად კაფსულაც ჩადო.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა, "მტერს არ უნდა მივცეთ საშუალება, ჩვენი შიდა განსხვავებები გამოიყენოს". მისი თქმით, ვიღაცები მოდიან არჩევნებისთვის, ვიღაცები - სხვა თემებისთვის, თავად კი ერთი რამ უნდა - განვითარება და თითოეულ ოჯახში სარგებლის შესვლა.

"ეს არის ჩვენი ნაციონალური იდეა. ნაციონალური არა იმ გაგებით, რომ "ნაციონალური მოძრაობის" იდეაა. ეს იდეა ეკუთვნის ყველა პარტიას და ძალას. ყველა პოლიტიკური პარტია და ყველაფერი დროებითია, ჩვენი ქვეყანა კი არის მუდმივი. ჩვენი ხალხისთვის დახმარების აღმოჩენა არის მუდმივი ინსტინქტი, რომელიც თითოეულ ქართველს უნდა ამოძრავებდეს, მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკური შეხედულებისაა. ამიტომ, ყველას უნდა ვუთხრა - ჩვენ ასარევი და დასანგრევი ქვეყანა არ გვაქვს. ერთმანეთს გვერდით უნდა დავუდგეთ და არ მივცეთ მტერს საშუალება, ჩვენი შიდა განსხვავებები გამოიყენოს," - დასძინა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, გუშინ დაიწყო ერთი სასტუმროს მშენებლობა, რომელიც მომავალი წლის სეზონისთვის ჩაბარდება.

"გაძლევთ სიტყვას, რომ აქ მომავალ წელს კიდევ, მინიმუმ, 3-4 სასტუმროს მშენებლობა დაიწყება. ეს ნიშნავს, რომ შაორი მთელი ძალით ამუშავდება," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის თქმით, რაჭა უნიკალურია არა მარტო საქართველოშია, არამედ მთელ ევროპაში.

"აქ მთელი კომპლექსია განსავითარებელი. ეს არის შოვი, უწერა. უწერის ზევით არის სოფელი ღები. ჩვენ დავიწყეთ პროექტირება და ღები გახდება ისეთი სილამაზის ცენტრი, როგორც უშგული. ქართველების 99 პროცენტმა საერთოდ არ იცის, სად არის ღები. ყველა გაიგებს და ძალიან დიდი შთაბეჭდილების ქვეშ იქნება, როდესაც ეს აღდგენა დაიწყება," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, მთავარი მიზანია, რომ რაჭაში ერთხელ და სამუდამოდ ამოიძირკვოს სიღარიბე, უმუშევრობა და გაჭირვება.

"მაქვს დღეები დაწყებულის დამთავრების და მაქვს დღეები ახლის დაწყების. დღეს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი დღეა, რადგან ახალს ვიწყებ. არ ყოფილა არც ერთი დღე საარჩევნო თუ არასაარჩევნო პერიოდში, ბოლო 8 წელზე მეტის განმავლობაში, როცა ჩვენ, ყველას ერთად, არ გვიფიქრია, თუ როგორ გადაგველახა სიღარიბე, როგორც დაგვემარცხებინა უმუშევრობა. რა თქმა უნდა, ეს არის ჩვენი მთავარი პროგრამა შემდგომი თვეებისთვის და წლებისთვის," - განაცხადა პრეზიდენტმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

პირველი ნომრების დებატები "პირველზე"

"საზოგადოებრივ მაუწყებელზე", პრემიერ-მინისტრობის კანდიდატების შემდეგ, გუშინ დებატები 4 კვალიფიციური სუბიექტის პირველ ნომრებს შორის გაიმართა. ამჯერად დებატები სრული შემადგენლობით შედგა - კოალიცია "ქართულ ოცნებას" კახი კალაძე წარმოადგენდა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" დებატებში დავით ბაქრაძე მონაწილეობდა, დანარჩენი ორი მონაწილე უცვლელი იყო, "ქრისტიან-დემოკრატების" და '"ლეიბორისტების" პოზიციებს კვლავ მათი ლიდერები გიორგი თარგამაძე და შალვა ნათელაშვილი იცავდნენ.

წილისყრით, გახსნის სიტყვა კახა კალაძეს ერგო. **"ჩემთვის პირველი დებატებია და ისე არ ვარ განაფუ-ლი, როგორც ჩემი ოპონენტები, მაგრამ ჩემთვის პოლიტიკაში პირველი ნაბიჯებია და გპირდებით, გულწრ-ფელი ვიქნები,"** - მიესალმა კალაძე აუდიტორიას. მან მაყურებელს მიმართა, რომ თითოეულ გამომსვლელს ყურადღებით მოუსმინონ და კარგად აწონ-დაწონვის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება, თუ ვინ იმსახურებს ქვეყნის მართვას. კალაძემ აქცენტი კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილზე გააკეთა და აღნიშნა, რომ მას საქართველოსთვის ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული.

შალვა ნათელაშვილმა სიტყვა ტრადიციულად მიხეილ სააკაშვილის და ბიძინა ივანიშვილის ხსენებით დაიწყო და აღნიშნა, რომ არც ერთი მათგანი დებატებზე კვლავ არ გამოცხადდა. **"უკვე მეორე კვირაა, რაც ქართული საზოგადოება ხედავს, ივანიშვილი და სააკაშვილი როგორ ემალებიან ხალხს,** - ამბობს შალვა ნათელაშვილი, - **პრეზიდენტი შლეგიანივით მინდორ-ველებში დადის და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ადამიანებს დაატარებს."**

დავით ბაქრაძე დებატებში ოთხივე კანდიდატის მონაწილეობას მიესალმა და შემდეგ "ნაციონალური მოძრაობის" გეგმებზე გააგრძელა საუბარი. **"მთავრობამ ყველა პრობლემის მოგვარება ვერ შეძლო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ გვაქვს გეგმა, რომელიც ქვეყანას წინ წაიყვანს,** - აღნიშნავს ბაქრაძე, - **ამ არჩევნებზე მთავარი კითხვაა - შევძლებთ, ქვეყანა წინ წავიყვანოთ თუ ისევ დავბრუნდებით უკან - იქ, სადაც ბატონი ხუფენია გვთავაზობს?"**

გიორგი თარგამაძე კი მიიჩნევს, რომ არჩევნებზე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ტარიფებს არ ეხება. **"ეს ქართველების საფიქრალია - ქვეყანაში მშვიდობა იყოს და აღარ არსებობდეს ის უსამართლობა, რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პირობებშია,** - ამბობს თარგამაძე.

მისალმების შემდეგ თითოეულმა კანდიდატმა თავიანთი პარტიების პროგრამის პრიორიტეტების შესახებ ისაუბრა. დასმული კითხვებიც სწორედ პროგრამებში ასახულ საკითხებს ეხებოდა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, სოციალურ დაცვას, განათლების, სოფლის მეურნეობის სფეროებს და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობას მოიცავდა.

დებატებზე კახა კალაძემ დავით ბაქრაძეს საპატიმროებში არსებულ მდგომარეობაზე პასუხის გაცემა სთხოვა. კალაძის თქმით, პატიმრებთან მაღალჩინოსანთა მოპყრობის ფაქტები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

დავით ბაქრაძე პასუხობს, რომ მოქმედი ხელისუფლების პირობებში ნარკოტიკების გამყიდველებისა და კანონიერი ქურდების დრო საბოლოოდ დასრულდება. **"ადამიანი, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს, მოხვდება ციხეში. რაც შეეხება პატიმრებთან მოპყრობის ამსახველ ვიდეომასალას, ფაქტი ავადცნობილ თამაზაშვილს შეეხება და ეს სხვა თემაა,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

დებატებში განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას "ლეიბორისტების" ლიდერი ცდილობდა. მან დებატების წამყვანს ისიც კი უსაყვედურა, რომ მისთვის განკუთვნილი დრო დანარჩენებზე ადრე იწურებოდა. შემდეგ კი ისევ ივანიშვილსა და სააკაშვილს მიუბრუნდა. ნათელაშვილმა ჯერ აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილს სურს, ბუდა იყოს და არჩევნების შემდეგ განზე გადგომას აპირებს. **"ჯერ არ მოსულა და უკვე მიდის,"** - შენიშნავს ნათელაშვილი. მას არც პრეზიდენტისა და ბიძინა ივანიშვილის ხარჯები დაუტოვებია უყურადღებოდ. ნათელაშვილი ამტკიცებს, რომ სააკაშვილმა თავის ვიზიტებში 850 მილიონი დახარჯა და თვითმფრინავების სპიდომეტრები გადაწვა. ივანიშვილს კი პიკასოს ნამუშევრის ყიდვის გამო სდებს ბრალს. გასული წლის ბოლოს დასავლურ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ აუქციონზე პიკასოს ნახატი - "დორა მაარი კატით" - 85 მილიონ აშშ დოლარად, სავარაუდოდ, მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა. **"ივანიშვილმა პიკასოს ნახატში "დორა 165 მილიონი გადაიხადა. ამ მახინჯი ქალის ფასად ელიავას ბაზრობაზე მდგარი საჯიშე ბიჭები დასაქმდებოდნენ,"** - ამბობს ნათელაშვილი.

შეფასებები დებატების შემდეგ

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" წამყვან ეკა მიშველაძის მიერ "ისტორიულად" შეფასებული დებატების შემდეგ "პრაიმ ტაიმის" პრესკლუბში ოთხი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო სიების პირველი ნომრებიდან მხოლოდ ორმა შეაფასა გუშინდელი სატელევიზიო გამოსვლები. "ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერ გიორგი თარგამაძის განცხადებით, დებატებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რაც სჭირდება ქართველ ერს. **"ძალიან კმაყოფილი ვარ. ზოგადად დებატები რთული ფორმატია და ქართველებს გვიჭირს ხოლმე დროის მოკლე მონაკვეთში მთავარი სათქმელის თქმა, მაგრამ ჩვენი მთავარი გზავნილი ჩვენს ამომრჩევლამდე კიდევ ერთხელ მაინც მივიტანეთ,"** - განაცხადა თარგამაძემ და აღნიშნა, რომ დებატებისას გამოჩნდა, ვის აქვს ყველაზე კარგი და მწყობრი გეგმა.

შალვა ნათელაშვილის შეფასებით, გუშინდელმა სატელევიზიო დებატებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ მრავალპარტიულ პარალამენტს შეუძლია, **"რომელმაც დაუნდობლად უნდა ამხილოს ერთმანეთიც და ხელისუფლებაც, სწორედ ამით შევძლებთ ამოვკვეთოთ ის მეოთხე სტადიის სიმსივნე, რასაც ჰქვია დღევანდელი რეჟიმი და სააკაშვილის ხელისუფლება."**

ქვეყნის მთავარმა ლეიბორისტმა "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთხელ გამოიწვია დებატებში.

"დავჯდეთ კაცურად და მოვილაპარაკოთ პირისპირ. მივმართავ მიხეილ სააკაშვილს და მის გამოჩეკილ ოპოზიციას - რისი გეშინიათ, ხომ ხედავთ, არავინ შემიჭამია, ყველა ლიდერი მთელი და უვნებელი წავიდა სახლში. თუ ასე გეშინიათ, გასაგულადებლად რამე დალიეთ, მაგალითად "აზვერინი". თუ გეშინიათ თქვენი ბუნკერების და კაბინეტების დატოვება, მე მარტო მოვალ თქვენთან და იქიდან გავაკეთოთ ჩართვა. ალალად გინწევთ კაცურ და ქართულ დებატებსა და საუბარში. და თუ ამის თავი არ გაქვთ, გააუქმეთ თქვენი სიები და წადით პოლიტიკიდან. ვისაც ამის თავი არა აქვს, ვერც პოლიტიკოსი იქნება და ვერც პიროვნება," - განაცხადა ნათელაშვილმა.

საკუთარი ინფორმაცია

"ამერიკა ფიქრებით ქართველი ხალხის გვერდით არის"

პირველი გვერდიდან

როგორც კონგრესმენები აღნიშნავენ, ისინი მხარს უჭერენ საქართველოში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას.

"საქართველომ გრძელი გზა გაიარა 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, რომელსაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი "ნაციონალური მოძრაობა" ედგნენ სათავეში. დანაშაული კლებულობს, კორუფცია შემცირდა და ბიუროკრატიული პროცედურები მნიშვნელოვნად გამარტივდა. ქართველი ხალხი მთავრობის მიერ გატარებული ძლიერი და მუდმივი რეფორმების მატერიალურ შედეგს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავს. საქართველომ და მისმა ლიდერებმა გააკეთეს ნათელი და ერთმნიშვნელოვანი არჩევანი, გაიზიარონ და პატივი სცენ დემოკრატიულ ღირებულებებსა და იდეალებს, რომლებიც შემუშავებულია ნატო-ს სრულფასოვანი წევრობის მისაღწევად. ქართულმა სამხედრო დანაყოფებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საზღვარგარეთ ნატო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში, მათ შორის - ავღანეთსა და კოსოვოში. მისიების შესრულებისას მათი პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხი ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს, როგორც ნატო-ს მომავალ წევრს, ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია. 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში საქართველომ შექმნა ძლიერი სისტემა, რათა ხელი შეუწყოს თავისუფალ და სამართლიან საარჩევნო პროცესს. არჩევნებს მსოფლიოში აღიარებული სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლები დაკვირდებიან, რათა დაადასტურონ, რომ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას პირნათლად, საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების შესაბამისად არის დაცული თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპები. ამ დამოუკიდებელი არბიტრების სიტყვებს ყველამ უნდა მოუსმინოს და პატივი სცეს," - ნათქვამია კონგრესმენების განცხადებაში.

ისინი მოუწოდებენ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს, რომ მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი საკუთარ არჩევანს გააკეთებს, შედეგებს კომპეტენტური ორგანოები შეაჯამებენ და სადამკვირვებლო ჯგუფები შეაფასებენ, პატივი სცენ შედეგებს, გვერდით გადადონ განსხვავებები და ითანამშრომლონ მშვიდობიანად, ქვეყნის შემდგომი წინსვლისთვის.

"ნებისმიერი მცდელობა, რომელიც არჩევნების შემდგომ არეულობის გამოწვევას ისახავს მიზნად ან მიმართულია ელექტორატის პოლიტიკური ნების წინააღმდეგ, სერიოზული უსამართლობა იქნება ქართველი ერის მიმართ და, რა თქმა უნდა, გახდება ძლიერი კრიტიკის საფუძველი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. მსოფლიო მომავალ არჩევნებს დიდი ყურადღებით აკვირდება. საქართველო და მისი რეპუტაცია საერთაშორისო საზოგადოებაში საფრთხის წინაშე დგას - ეს არჩევნები საქართველოს დემოკრატიისთვის სერიოზული ტესტი იქნება. ეს არის შანსი ყველა ქართველისთვის, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, რათა დაუმტკიცონ მსოფლიოს, რამდენად შორს წავიდნენ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში და ნათლად განაცხადონ, რომ უკან სვლა მათი არჩევანი არ არის. ჩვენ ფიქრებით ქართველი ხალხის გვერდით ვართ, რამდენადაც ისინი ემზადებიან იმისთვის, რომ ხმა მისცენ მშვიდობიან და წარმატებულ მომავალს, რის მიღწევასაც ამდენი მსხვერპლი შესწირეს და რასაც ნამდვილად იმსახურებენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართველი ხალხის წინააღმდეგობას რუსეთის ძალისხმევასთან, დაამხოს საქართველოს მიერ რთულად მოპოვებული დემოკრატია," - აღნიშნავენ ამერიკელი კონგრესმენები.

გუშინვე გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის ყოფილი მოადგილის სელესტ ვოლანდერის ინტერვიუ, რომელიც მან "ამერიკის ხმას" მისცა. ვოლანდერი იმედოვნებს, რომ ქართველი და რუსი ლიდერები ამერიკის დახმარებით უთანხმოებებს დაძლევენ, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ უახლოეს პერიოდში საქართველო-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების საგრძნობი გაუმჯობესების შესაძლებლობას ვერ ხედავს.

"მე ინფორმირებული ვარ, რომ ორივე სახელმწიფოში მთავრობის წევრები და ასევე სამთავრობო წრეებს გარეთ ადამიანები იმედს ამყარებენ, რომ შენარჩუნდება ის ტენდენცია, რომლის მიღწევაც ბოლო წლებში მოხერხდა; არ მოხდება ძალადობის განმეორება და ვითარების ესკალაცია. ორივე მხარეზე პოლიტიკური რიტორიკა ხშირად ჭარბობს და ეს ხელს არ უწყობს დაძაბულობის განმუხტვას, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად ომის დასრულებას დამატებითი დაძაბულობა და ძალადობა მოსდევს, რასაც ვერ ვიტყვი რუსეთისა და საქართველოს შემთხვევაზე. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ვერც ეს სიტუაცია დაარეგულირებს კონფლიქტს და ბოლოს მაინც საჭირო იქნება ორივე მხარის გაბედული ნაბიჯები იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების ოკუპაციას, საქართველოს სუვერენული მიწების ირგვლივ არსებულ უთანხმოებას ეხება," - აღნიშნა ვოლანდერმა.

მან ისიც დასძინა, რომ მისთვის ცნობილია იმ კვლევების შესახებ, რომლებიც ამ უთანხმოების გადალახვის სხვადასხვა გზებს სახავს.

"თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს არის პოლიტიკოსების გასაკეთებელი საქმე," - განაცხადა ვოლანდერმა. მისივე თქმით, საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე კვირის განმავლობაში მაქსიმალურად უზრუნველყოს თავისუფალი საარჩევნო გარემო. როგორც ვოლანდერმა შენიშნა, არჩევნებისთვის გამჭვირვალობა წამყვანი პირობაა.

"მთავრობის ვალია, არჩევნებში ყველა უცხოელ დამკვირვებელს მონაწილეობის საშუალება მისცეს, დაიცვას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი ყველა პირობა. არ უნდა იყოს კითხვები ამომრჩევლის სრულყოფილი სიების, სარეგისტრაციო პროცედურების შესახებ, საარჩევნო უბნებზე წესრიგი უნდა განმტკიცდეს, ოპოზიციურ პარტიებს უნდა მიეცეთ სრული და შეუფერხებელი საშუალება, თავიანთი პროგრამა წარმოადგინონ და მოსახლეობასთან შეხვედრები გამართონ. ერთი სიტყვით, მთავრობას აქვს კონკრეტული, ძალიან მკაფიო მოვალეობა - უზრუნველყოს კანონის დაცვა და ყველანაირი პირობა შექმნას არჩევნების მშვიდობიან ვითარებაში ჩასატარებლად. ვაცნობიერებთ ოპოზიციური პარტიების პასუხისმგებლობასაც, რათა მათ ასევე კანონის ფარგლებში იმოქმედონ, თუმცა კიდევ ერთხელ, საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე კვირის განმავლობაში მაქსიმალურად უზრუნველყოს თავისუფალი საარჩევნო გარემო," - განაცხადა სელესტ ვოლანდერმა. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს რეალური შესაძლებლობა აქვს, დაამტკიცოს, რომ ევროატლანტიკურ ოჯახს მიეკუთვნება, შესწევს უნარი და ერთგულია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრინციპისა - უზრუნველყოს ჯანსაღი დისკურსი ჯანსაღი პოლიტიკური ოპოზიციის საშუალებით.

"სწორედ ამ შესაძლებლობის დამტკიცება წარმოადგენს მოახლოებული არჩევნების ჩატარების საფუძველს. ყველგან - ამერიკაში, ევროპაში მოუთმენლად ელიან და დიდი გულისყურით ადევნებენ თვალს მოვლენებს. მეც მგონია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპია და საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ ამ გამოწვევის ან, თუ გნებავთ, ამ გამოცდის ჩაბარება შეუძლია," - განაცხადა ვოლანდერმა.

ფილიპ დიმიტროვი არჩევნების შესახებ

ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო ვითარებას ინტენსიურსა და გადატვირთულს უწოდებს. "ქვეყანაში ბევრი რამ ხდება და ხალხი კარგად არის ინფორმირებული. ინფორმაცია ყველა ამომრჩევლამდეა მისული და ამომრჩეველი მზად არის, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, ისე როგორც არასდროს. გარდა ამისა, ადამიანებს აქვთ თავიანთი პრობლემები. თუ გეტყვით, რომ საქართველოში პრობლემები არ არსებობს, ამას, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებთ. ველოდები, რომ ჩატარდება არჩევნები, სადაც ხალხს ექნება საშუალება, გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური არჩევანი," - "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა. დიმიტროვი გუშინ "ქართული ოცნების" ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო. შეხვედრა საერთაშორისო სამრეწველო პალატის ინიციატივითა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა.

ივანიშვილს კოალიციის წევრი საყვედურობს

"ქართული ოცნების" ეკონომიკური გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი დემურ გიორხელიძე კოალიციის ლიდერს უპატივცემულობაში ადანაშაულებს. საყვედური დემურ გიორხელიძემ "ფეისბუკში" თავის გვერდზე გამოაქვეყნა. მისი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა კოალიციის პროგრამის წარდგენაზე არ მიიწვია მეცნიერების იმ ჯგუფის ნაწილი, რომელიც დემურ გიორხელიძის ხელმძღვანელობით ამ პროგრამის შექმნაზე მუშაობდა. "ბატონ ბიძინა ივანიშვილს! ეს რა წესია?! საკუთარ პროგრამას წარადგენდეს პოლიტიკური ორგანიზაცია და არც ერთ ადამიანს არ იწვევდეს, თუნდაც პატივისცემის ნიშნად, რომლებიც თვეების განმავლობაში, დღე და ღამ მუშაობდნენ ენთუზიაზმზე და თავდადებით," - წერს ექსპერტი.

ამერიკის ატლანტიკური საბჭოს კვლევა

ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკურმა საბჭომ საქართველოში წინასაარჩევნო ვითარების შესახებ კვლევა მოამზადა სათაურით - "საქართველოს პოლარიზებული პოლიტიკური ლანდშაფტი არჩევნების წინ". დოკუმენტში საუბარია არჩევნებში მონაწილე პარტიებზე, თუმცა ავტორები აღნიშნავენ, რომ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მთავარი ბრძოლა ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და კოალიცია "ქართულ ოცნებას" შორის გაიმართება. ავტორთა შეფასებით, ამ არჩევნების შედეგები არსებით გავლენას მოახდენს საქართველოს ძალისხმევაზე დასავლეთის ინსტიტუტებში გასაწევრიანებლად. დოკუმენტში ასევე წერია, რომ ქართული ოცნების გამარჯვება აშშ-საქართველოს ურთიერთობებს ძირეულ გადახედვამდე მიიყვანს. ავტორებს მოჰყავთ NDI-სა და IRI-ის ბოლოდროინდელი სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებიც. დოკუმენტში წერია, რომ მმართველი პარტიის მიღწევები შთამბეჭდავია, მან მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფცია რეფორმების ხარჯზე და მაღალ დონეზე აიყვანა ქვეყნის ინფრასტრუქტურა. ატლანტიკური საბჭოს ექსპერტები ასევე აცხადებენ, რომ ქვეყანაში ბევრადაა გაუმჯობესებული ბიზნესგარემო და საქართველო უკვე ანარმოებს მოლაპარაკებებს ევროკავშირთან ღრმა და თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებაზე.

ირანის ბირთვულ ობიექტებზე დივერსიული აქტი განხორციელდა

ირანის ატომური ენერგიის სააგენტოს ხელმძღვანელმა ფორდოს ბირთვულ ობიექტზე დივერსიის შესახებ გამოაცხადა. ფერეიდუნ აბას-დავანის თქმით, 17 აგვისტოს აფეთქების გამო ურანის გამამდიდრებელ ცენტრს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. აბას-დავანს დეტალებზე არ უსაუბრია. ვენაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სხდომაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ აფეთქება იქამდე მოხდა, სანამ სააგენტოს ინსპექტორები ფორდოს საწარმოს მონახულებას მოითხოვდნენ. მისი თქმით, აფეთქების გამო ელექტროენერგიის მიწოდება ნათანზის ბირთვულ ცენტრსაც შეუწყდა. აბას-დავანის თქმით, ბირთვულ სააგენტოში შესაძლოა, "ტერორისტებმა და დივერსანტებმა" მოახერხეს შეღწევა: "სავარაუდოდ, ტერორისტებმა იმ სპეციალისტების ჯგუფში შეაღწიეს, რომლებიც ჩვენი ბირთვული პროექტების რეალიზაციაზე მუშაობენ," - აღნიშნავს დავანი.

საერთაშორისო ინსპექტორები ადრეც და ახლაც ცდილობენ დაადგინონ, მუშაობს თუ არა ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე. თუმცა, თავად ირანი ირწმუნება, რომ მისი მიზანი ბირთვული იარაღის შექმნა არ არის და ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

"კავკაზ 2012"-ის "დეტალები"

"ნეზავისიმაია გაზეტა" გუშინ დაწყებულ "კავკაზ-2012" წვრთნებს ვრცელ სტატიას უძღვნის, სადაც საუბარია, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მეთვალყურეობის ქვეშ დაწყებული წვრთნები ერთადერთი არ არის და პუტინის ინტერესიც შემთხვევითი არ არის.

14 სექტემბერს მოსკოვის შემოგარენში ისტორიაში პირველად ჩატარდა დსთ-ს საერთაშორისო ოპერატიულ-ტაქტიკური წვრთნები. სომხეთში კი სამხედრო მანევრების ორგანიზება დაიწყო, სადაც კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის წევრები მონაწილეობენ. ფორმალურად ეს წვრთნები ერთმანეთს არ უკავშირდება, თუმცა სამხედროებისა და სპეცსამსახურების ქმედების გაანალიზების შემდეგ, გამოცემა აკეთებს დასკვნას, რომ ამ ყველაფრის მიზანი 2014 წელს სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოებაა.

როგორც "კავკაზ-2012"-ში, ასევე ორგანიზაციის წვრთნებშიც ჯარების მასშტაბური გადაჯგუფება მოიაზრება. ამასთან, ყველა წვრთნაში გამოიყენება სამხედრო მოქმედებების წარმოების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: მართვის ავტომატური სისტემების გამოყენება; კოსმოსიდან დაზვერვა; უპილოტო მფრინავი აპარატები.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, კითხვებს იწვევს სომხეთის ტერიტორიაზე საჰაერო-სადესანტო ჯგუფის გადასხმა, რამდენადაც საქართველოსთან საჰაერო სივრცის გამოყენება რუსულ სამხედრო ვერტმფრენებს არ შეუძლიათ, აზერბაიჯანის მხრიდან კი სომხეთში ვერტმფრენებს არავინ შეუშვებს. ამრიგად, გაურკვეველია რა მიზანი აქვს ამ ბატალიონის გადასხმას.

საინტერესოა ალბათ ის ფაქტიც, რომ როგორც რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრ პოსტნიკოვი ირწმუნება, წვრთნებში მონაწილეობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ქვედანაყოფები არ ღებულობენ.

როგორც ავტორი სტატიის დასასრულს აღნიშნავს, რუსეთის სამხედროებს აქვთ შიში, რომ თბილისი რუსეთის წინააღმდეგ ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე პროვოკაციას ამზადებს.

პანეტა ჩინეთს სამხედრო კონტაქტების გაძლიერებისაკენ მოუწოდებს

ამერიკის თავდაცვის მინისტრი ლეონ პანეტა ჩინეთს კონფრონტაციის რისკების შესამცირებლად ახლო სამხედრო კონტაქტების დამყარებისაკენ მოუწოდებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში სადავო კუნძულებთან დაკავშირებით პეკინსა და ტოკიოს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა. ჩინეთში ვიზიტით მყოფმა თავდაცვის მინისტრმა შეხვედრები ჩინეთის მთავრობის წევრებთან და სამხედრო სფეროს მაღალჩინოსნებთან გამართა. პანეტამ მის ჩინელ კოლეგა ლიანგ გუანგლის უთხრა, რომ პეკინმა და ვაშინგტონმა ახლო სამხედრო კონტაქტები უნდა დაამყარონ, რითიც შესაძლო გაუგებრობებს აიცილებენ თავიდან. "ჩვენი მიზანია, ამერიკამ და ჩინეთმა მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი ორმხრივი ურთიერთობა ჩამოაყალიბონ, რომელიც პირველ რიგში ძლიერ სამხედრო ურთიერთობაზე დაფუძნებული იქნება," - აღნიშნა პანეტამ.

ასადის "თავში" 25 მილიონს იხდიან

"სირიის თავისუფალი არმია" აწესებს ჯილდოს 25 მილიონი დოლარის ოდენობით მისთვის, ვინც მათ პრეზიდენტ ბაშარ ასადს გადასცემს, "ცოცხალს ან მკვდარს". ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ანატოლიის საინფორმაციო სააგენტო "სირიის თავისუფალი არმიის" ერთ-ერთ მეთაურზე ახმეტ ხიჯაზიზე დაყრდნობით. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ამ თანხას შეაგროვებენ სირიაში და უცხოეთში მცხოვრები ის სირიელი ბიზნესმენები, რომლებიც მხარს ოპოზიციას უჭერენ. ხიჯაზის სიტყვებით, ეს ჯილდო დაწესდა იმისთვის, რომ პრეზიდენტის გარემოცვას ოპოზიციისკენ "გადმოსვლის" სტიმული მისცენ. "სირიის თავისუფალი არმიის" მეთაურის აზრით, ბაშარ ასადის ოპოზიციისთვის ჩამბარებელი პირი მეტსაც იმსახურებს, მაგრამ მათ რეალურად მეტი თანხა არ აქვთ.

მოამზადა თამთა კახაძემ

ანტიისლამური ფილმის საპროტესტო გამოძახილი

პირველი გვერდიდან

და პროტესტი ავღანურად

მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა მალევე აიღო საკუთარ თავზე ლოს-ანჯელესის პოლიციამ. ფილმის თანაავტორის ადვოკატის განცხადებით კი, ნაკულა ბასელ ნაკულას ოჯახი ფაქტობრივად შინაპატიმრობაში გრძნობდა თავს. ამერიკაში ემიგრირებული კოპტის მსგავსად მალევე გამოიკვეთა ეგვიპტის ქრისტიანული საზოგადოების კიდევ რამდენიმე ეჭვმიტანილი. ეგვიპტის პროკურატურამ უკვე გასცა შვიდი კოპტის დაპატიმრების ბრძანება, რომლებსაც ანტიისლამურ ფილმთან კავშირში ედებათ ბრალი. პროკურატურის წარმომადგენელთა განცხადებით, ეჭვმიტანილებს კონკრეტულად ბრალს წაუყენებენ ეროვნული ერთიანობისთვის ზიანის მიყენებასა და ისლამის შეურაცხყოფაში. ვარაუდობენ, რომ ეჭვმიტანილთაგან არც ერთი არ იმყოფება ამჟამად ეგვიპტის ტერიტორიაზე.

დაკავების ბრძანება გაცემულია ასევე ამერიკელ პასტორ ტერი ჯონსზეც, რომელიც დღემდე არაერთხელ გამოსულა ანტისილამური განცხადებებით.

გამოიკვეთა ასევე ანტიისლამურ ფილმში მონაწილე მსახიობთა სახელები და გვარები, რომელთა შორის ერთი ქართველი გოგონაა. 21 წლის მსახიობი ანა გიორგობიანი ჰოლივუდში "ანა გურჯის" ფსევდონიმით მუშაობს. "რადიო თავისუფლების" თანახმად, გიორგობიანის წერილი 17 სექტემბერს ინგლისელმა მწერალმა ნილ გეიმენმა გამოაქვეყნა. მსახიობის თანახმად მან პროდიუსერებისგან იცოდა, რომ მონაწილეობა უნდა მიეღო ფილმში "უდაბნოს მებრძოლი". თუმცა, იმ ფაქტს, რომ ფილმს სახელი უკვე სამჯერ შეეცვალა და აბსოლუტურად შეიცვალა ასევე მისი შინაარსიც სხვა მსახიობებიც ადასტურებენ.

ფაქტია, რომ ანტიისლამური ფილმის გამოსვლას "არაბული გაზაფხულის" მსგავსი რყევები მოყვა ისლამურ სამყაროში. ვიდეოჰოსტინგი "იუთუბი" თავიდანვე გახდა იძულებული რამდენიმე მუსლიმურ ქვეყანაში აუდიტორიისთვის ვებგვერდის ხელმისაწვდომობა შეეზღუდა. ეგვიპტეს, ლიბიასა და ინდოეთს უკვე შეემატა პაკისტანიც, სადაც მოსახლეობას ასევე აღარ შეუძლია "იუთუბით" სარგებლობა. ვიდეოჰოსტინგით სარგებლობის შესაძლებლობა დაკარგეს ასევე ბანგლადეშში, სადაც ანტიამერიკული პროტესტი ორიოდე დღის წინ ყველაზე გამოკვეთილი ფორმით გამოხატეს დიპლომატიური მისიის შენობის წინ.

ვიდეოჰოსტინგი შესაძლოა დაიბლოკოს რუსებისთვისაც. რუსეთის ხელისუფლების თანახმად, ვებგვერდის დაბლოკვა შესაძლოა ნოემბრის დასაწყისში მოხდეს ინფორმაციის შესახებ კანონში რამდენიმე ცვლილებების შეტანის საფუძველზე. მოსკოვში ამ გადაწყვეტილებას ხსნიან ანტიისლამური ფილმის მიზეზით გამოწვეული პოტენციური საფრთხეების არსებობით. რუსეთის აკრძალულ ვებგვერდთა რეესტრში "მუსლიმთა უმანკოების" შეტანისთვის აუცილებელი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც საზედამხედველო ორგანო მოითხოვს ინტერნეტოპერატორებისგან "იუთუბის" დაბლოკვას. კორპორაცია "გუგლმა", რომლის მფლობელობაშიცაა ვიდეოჰოსტინგი, უკვე განაცხადა უარი ვიდეორგოლის სრულად მოხსნაზე.

ანტიისლამური ფილმი ექსტრემისტულ სურათად რუსეთში ორშაბათს აღიარეს და გენერალურმა პროკურატურამაც მოამზადა სარჩელი. უწყებამ გამაფრთხილებელი მინიშნება "გუგლის" რუსულ განყოფილებასაც გაუგზავნა, რომელმაც მოთხოვნა, თავის მხრივ, სათაო ოფისს გადაუგზავნა. ოფიციალურ აკრძალვამდე "როსკომნდზორი" კი ინტერნეტპროვაიდერების მისამართით რეკომენდაციებით გამოვიდა. რუსეთში "შავი სიების" შესახებ კანონი კი სადამკვირვებლო ორგანოს უფლებამოსილს ხდის მოითხოვოს ამა თუ იმ ინტერნეტპროვაიდერისგან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.

რომნიმ ობამას მხარდამჭერები აგდებულად მოიხსენია

პირველი გვერდიდან

რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი მიტ რომნი ამ ჩანაწერში ობამას მხარდამჭერებზე, ცოტა არ იყოს, აგდებულად ლაპარაკობს.

მისი განცხადებით, ამომრჩეველთა 47 პროცენტი ბარაკ ობამას იმიტომ უჭერს მხარს, რომ არ იხდიან საშემოსავლო გადასახადებს და მთლიანად არიან დამოკიდებული სახელმწიფოზე. "მე ვერასდროს დავარწმუნებ მათ, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ და საკუთარ თავზე თავად იზრუნონ," - განაცხადა რომნიმ. გამომცემლობა "მაზერ ჯონსის" მიერ ამ სიტყვების საჯარო პუბლიკაციის შემდეგ მიტ რომნიმ განაცხადა, რომ იგივეს ამბობდა თავის საჯარო გამოსვლებშიც. ადრე თავის გამოსვლებში რომნი აცხადებდა, რომ სურდა დახმარებოდა ყველა ამერიკელს, რომლებმაც ობამას პოლიტიკით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეები საკუთარ თავზე გამოსცადეს.

როგორც მიტ რომნის შტაბის წარმომადგენელმა გეილ გიტჩემ ოფიციალურად განაცხადა, მასაჩუსეტსის შტატის ყოფილი გუბერნატორი ადრეც გარკვევით მიანიშნებდა, რომ შეშფოთებულია იმ ამერიკელთა რაოდენობის ზრდით, რომელთა კეთილდღეობაც დამოკიდებულია ფედერალური ხელისუფლების მოქმედებებზე. რომნის მხრიდან განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს 23 მილიონი ამერიკელი უმუშევარი და ის ფაქტი, რომ ყოველი მეექვსე ამერიკელი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება.

რომნის განცხადებაზე დემოკრატებმაც, თავის მხრივ, პასუხი არ დააგვიანეს. ობამას შტაბის წარმომადგენელმა ჯიმ მესინამ განაცხადა, რომ "რთულია იყო ყველა ამერიკელის პრეზიდენტი, თუ ზიზღით ჩამოწერ ერის ნახევარს."

შესაძლოა, ეს განცხადება მძიმე დარტყმა აღმოჩნდეს პრეზიდენტობის კანდიდატისთვის, რომელსაც ოპონენტები ისედაც აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მას რიგით ამომრჩეველთა ოჯახებში არსებულ რეალურ ვითარებაზე ძალიან მცირე წარმოდგენა აქვს და პრივილეგირებული კლასის ცხოვრებით ცხოვრობს. "47 პროცენტი, რომელიც მხარს უჭერს ობამას, ეს არიან ისინი, ვინც დამოკიდებულნი არიან ხელისუფლებაზე, რომელთაც სჯერათ, რომ გარემოებების მსხვერპლნი არიან და რომ ხელისუფლება ვალდებულია, იზრუნოს მათზე," - განაცხადა მან.

ორშაბათს რომნის შტაბმა გააკეთა განცხადება საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო ტაქტიკის სერიოზული ცვლილებების შესახებ. ბოლო დროს ის, ძირითადად, ობამას ეკონომიკურ პოლიტიკას აკრიტიკებდა. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ის უფრო ხშირად გააკეთებს განცხადებას კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებსა და წინადადებებზე.

სავარაუდოა, რომ ვიდეო, რომელიც "მაზერ ჯონსმა" გამოაქვეყნა, გადაღებულია სპონსორებთან ვახშმობის დროს მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რესპუბლიკელების კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში მიტ რომნი იქნებოდა. რომნის გარდა, ვიდეოფირზე არ ჩანს საღამოს არც ერთი სხვა მონაწილე. რომნი, გარდა ამისა, აღნიშნავს, რომ თავისი კამპანიის ფარგლებში ის საკმარისად მკაცრად არ აკრიტიკებდა ობამას, რადგან, მისი თქმით, პრეზიდენტი ჯერ კიდევ უყვართ. "რადგან მათ ხმა მისცეს ობამას, არ სურთ მათ უთხრან, რომ ისინი შეცდნენ. მათ ურჩევნიათ დაიჯერონ, რომ სწორად მოიქცნენ, უბრალოდ, ობამა საკუთარ მოვალეობებს ვერ გაუმკლავდა," - განაცხადა რომნიმ.

გასულ კვირას ჩატარებულმა სოციალურმა გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ მიტ რომნის პოპულარობით ბარაკ ობამა უსწრებს. რომნის რეიტინგი არის 46 პროცენტი, მაშინ, როდესაც მოსახლეობის 49 პროცენტი მზად არის, ხმა ბარაკ ობამას მისცეს.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე მხოლოდ 50 დღე რჩება და ზოგ შტატში წინასწარი ხმის მიცემა უკვე დაიწყო. ორეგონის შტატში ეს პროცესი 17 სექტემბრიდან დაიწყო. ფოსტის საშუალებით ხმის მიცემა დაიწყო ინდიანას და კენტუკის შტატებშიც. შემდეგი კვირისთვის 50 შტატიდან 24 დაიწყებს ვადამდელ ხმის მიცემას და იმ ბიულეტენების გადამუშავებას, რომლებიც წინასწარ იქნება გაგზავნილი.

ეროვნული მუზეუმის ანგარიში - აღმოსავლური კოლექცია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

და მოიცავდა თანამშრომლობას ეროვნულ მუზეუმსა და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებს შორის.

"თვინინგი" თანამშრომლობის პროგრამაა, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნისა და დახმარების მიმღები ქვეყნის საჯარო სამსახურებს შორის პროგრამის ერთობლივად განხორციელებას ითვალისწინებს. მისი მიზანია, დაეხმაროს მეზობელ ქვეყანას ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზებაში, ტრენინგების, რეორგანიზაციისა და კანონმდებლობების განვითარების გზით. პროექტი, სადაც საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, ჩართული იყო პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები, "თვინინგის" პირველ პროექტს წარმოადგენდა კულტურის სფეროში. აქედან გამომდინარე, მის წარმატებით განხორციელებაზე მიპყრობილი იყო როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ყურადღება, რადგან ის "თვინინგის" სტრატეგიის მომავალი მიმართულების განმსაზღვრელი შეიძლება გამხდარიყო. როგორც დასკვნით კონფერენციაზე ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ ბორის იაროშევიჩმა აღნიშნა, კულტურის ინდუსტრიას შეუძლია, არანაკლები წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარების საქმეში. ქვეყნის კულტურის გათვალისწინების გარეშე მშვიდობიან ურთიერთობებს ვერ მივაღწევთ. "ვფიქრობთ, კულტურას საქართველოში შეუძლია შექმნას სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყოს ქვეყნის პოტენციალის გამოვლენას," - განაცხადა ბორის იაროშევიჩმა.

პროექტში ჩართულები იყვნენ გერმანელი ექსპერტები, რომლებიც თავის დროზე მუშაობდნენ ბერლინის მუზეუმის კუნძულის განვითარებასა და კოლექციების შერწყმაზე გერმანიის გაერთიანების შემდეგ და ქართველ კოლეგებს მხარს უჭერდნენ მაღალკვალიფიციური კონსულტაციებით. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოს ეროვნული მუზეუმის, როგორც ინსტიტუციის განვითარება და დახმარება იყო სამუზეუმო საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობაში - განსაკუთრებით, შენობების დაგეგმარებაში, კოლექციების გადატანაში, ნივთების რესტავრაციასა და კონსერვაციაში, მუზემის მართვაში და ა.შ.

როგორც "თვინინგის" წარმომადგენელი მანფრედ ნავროტი აღნიშნავს, ამ პროექტის შედეგად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ცუდი ცხოვრება დასრულდა და ახლა უკვე შეიძლება ვუყუროთ, როგორ შთაებერება ახალი სული სიძველეებს. "ჩვენ შევეცადეთ, საქართველოში ბერლინური სტანდარტების ინტეგრაცია მოგვეხდინა. იმის საჩვენებლად, თუ როგორ რეგულირდება კულტურასთან დაკავშირებული საკითხები გერმანიაში, ვორქშოფის ფორმატი ავირჩიეთ, სალექციო შეხვედრებს სამუშაო შეხვედრები და დისკუსიები ვამჯობინეთ. მიგვაჩნდა, რომ ცოდნის მასშტაბური გაზიარება უფრო ეფექტური იქნებოდა. ამისათვის მესტიისა და თელავის მუზეუმებსაც ვსტუმრობდით, ვმონაწილეობდით ტრენინგებში ვანის მუზეუმში."

პროგრამა 4 კომპონენტს შეიცავდა: დაიგეგმა არქეოლოგიური ცენტრის გახსნა, სადაც არტეფაქტების შესანახად და საკვლევად შესაფერისი პირობები შეიქმნებოდა. ცენტრი ოქტომბერში გაიხსნება. შეიქმნა რესტავრაციისა და კონსერვაციის ცენტრი. ერთ-ერთი კომპონენტი იყო კონსერვაციის პრაქტიკის გაუმჯობესება, რისთვისაც რეკომენდაციები ბერლინის მუზეუმიდან მიიღეს. აქვე დამუშავდა სამუზეუმო კოლექციების გადატანის პროექტი, რისთვისაც საჭირო იყო, პირველ რიგში, თანამედროვე სისტემებითა და დანადგარებით აღჭურვილი საწყობის შექმნა სამუზეუმო ექსპონატებისათვის, პარალელურ რეჟიმში კი ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია უნდა დაწყებულიყო. შემდეგი კომპონენტი იყო სამუზეუმო სტანდარტების ამოქმედება და მუზეუმის საქმიანობის იურიდიული დოკუმენტების შექმნა.

აღმოსავლური კოლექციების კონსერვაციისა და გადაადგილების პროგრამა "თვინინგის" ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენდა, რომლის შეჯამებასაც ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში გახსნილი გამოფენა წარმოადგენს. ის, რომ "აღმოსავლური კოლექციების ახალი სიცოცხლე" მხოლოდ სლოგანი არ არის, ამაში გამოფენის ნახვისას ვრწმუნდებით, სადაც წარმოდგენილია ეროვნული მუზეუმის ფონდში დაცული აღმოსავლური კოლექციის ნიმუშები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური კოლექციის საკუთრებაში სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგის ნიმუშია შორეული და ახლო აღმოსავლეთიდან, რაც მსოფლიო მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს. 2004 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაარსების შემდეგ, მის ერთ-ერთ პრიორიტეტს აღმოსავლურ კოლექციებზე ზრუნვაც წარმოადგენს. სწორედ ამიტომ გახდა ევროკავშირის პროექტ "თვინინგის" ერთ-ერთი კომპონენტი შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის კოლექციების ევაკუაცია უსაფრთხო გარემოში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სპეციალისტები დღეს აცხადებენ, რომ ეს უნიკალური კოლექციები გადარჩენილია და ამ გამოფენით, საქართველოს ეროვნული მუზეუმი ქართველ საზოგადოებას და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებს ერთგვარ ანგარიშს აბარებს.

გამოფენაზე კი წარმოდგენილია 180-მდე ეგვიპტური, ისლამური სამყაროსა და შორეული აღმოსავლეთის კულტურის ამსახველი ექსპონატები: ეგვიპტური მუმია და სარკოფაგი; მე-8 საუკუნით დათარიღებული, პერგამენტზე შესრულებული ყურანის ფურცელი; საადი შირაზელის ნაწარმოების სრული კრებულის "ქოლიათის" ხელნაწერიდან ორი ფურცელი მინიატურით; ქეიმ ხან ზანდეს პორტრეტი - 18 საუკუნის მხატვრის მუჰამად ბაყერის მიერ შესრულებული და, რაც მთავარია, ყაჯარული პერიოდის ფერწერა: თითქოს მთელი დარბაზი ცეკვავს და კეკლუცობს, თავს გვაწონებს, გვეარშიყება. მოცეკვავე ქალებიც, მუსიკოსებიც, შეყვარებულებიც და თვით ირანის დიდგვაროვნები თუ მმართველები. ზენდების ეპოქის ხელოვნება აგრძელებს სეფიანთა ხანის დაზგური ფერწერისა და კედლის მხატვრობის ტრადიციებს და ხერხებს, თუმცა ნამდვილ აყვავებას დაზგური ფერწერა ყაჯართა დინასტიის მმართველობის დროს აღწევს - სინატიფე, ფერადოვანი ფაქტურების სიუხვე, ლირიკული და ეროტიკული სცენები. განსაკუთრებით ფასეულია ფათჰალი შაჰის მმართველობის დროს შექმნილი ნიმუშები, რომელთა საუკეთესო კოლექციაც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. აქვეა მინიატურული და ლაქის ფერწერის ნიმუშები ჩინეთიდან და იაპონიიდან, ლითონისა და კერამიკის ჭურჭელი, სარიტუალო დანიშნულების ნივთები, ძვირფასი ლითონის შემკული საბრძოლო იარაღები... აბრეშუმზე შესრულებული ჩინური ფერწერა და ბრინჯის ქაღალდებზე დახატული კომპოზიციები, მე-14, მე-15, მე-18, მე-19 საუკუნეების ჩინური ლარნაკები და თეფშები, კობალტის მხატვრობით, და კესები - გობელენის ტექნიკით ნაქსოვი აბრეშუმის პანოები, რომლის პირველი ნიმუშები მე-7 საუკუნეში გაჩნდა, განსაკუთრებული პოპულარობა კი მინის დინასტიის პერიოდში მოიპოვა, როცა პანოებისა და საიმპერატორო აქსესუარებისთვის დაიწყეს ქსოვა. ვისაც ტოკუგავას შოგუნების დაკვეთით შესრულებული აბრეშუმის გრაგნილის ნახვა სურს, სადაც მათი ნიშანი - სამფურცელა ტუხტის ყვავილია გამოსახული წრეში, ანდა უტამაროს ნახატის და იაპონური ნეცკების, შეუძლია ეს ყველაფერი ერთად თავმოყრილი ნახოს ჯანაშიას მუზეუმში.

აღმოსავლური ხელოვნების შესწავლა და მისით დაინტერესება საქართველოში მე-19 საუკუნეში დაიწყო, როცა სხვადასხვა ტიპის სამუზეუმო დაწესებულებები დაარსდა. კავკასიის მუზეუმი, წერა-კითხვის გამავრცელებელი თუ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებები აგროვებდნენ აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშებს. საქართველოს სამუზეუმო ცხოვრებაში ახალი საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა 1920 წელს დიმიტრი შევარდნაძის მიერ ეროვნული გალერეის დაარსებას, სადაც ერთი ექსპოზიცია ქართულ დაზგურ ფერწერას ეკავა, ხოლო მეორე - გვიან ირანულ ფერწერას. მაშინ ეროვნულ გალერეას კავკასიის მუზეუმიდან ირანული დაზგური ფერწერისა და მინიატურული ხელოვნების ათობით ნიმუში გადაეცა. 1954 წელს კი ხელოვნების მუზეუმში აღმოსავლური ხელოვნების განყოფილება გაიხსნა, სადაც შორეული აღმოსავლეთისა და ეგვიპტური კოლექციები იყო წარმოდგენილი. გვიანირანული ფერწერისა და მინიატურის პირველი მკვლევარი სწორედ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი იყო. კოლექციის შევსება კი კერძო შემოწირულობებით, შესყიდვით და არქეოლოგიური ექსპედიციით მოპოვებული მასალებით ხდებოდა.

გამოფენაზე წარმოდგენილმა ხელოვნების ნიმუშებმა ის გზა გაიარა, რომელიც დამთვალიერებლისათვის მუდამ კარს მიღმა რჩება, მაგრამ, ამავდროულად, სამუზეუმო საქმის ქვაკუთხედად განიხილება.

ნინო კალანდაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაცია-კონსერვაციის დეპარტამენტის უფროსი: "პროექტის ფარგლებში კონცენტრირება მოხდა პრევენციული კონსერვაციის მიმართულებაზე, რომლის მთავარ რგოლს აღმოსავლური კოლექციის გადატანის პროექტის მომზადება და განხორციელება წარმოადგენდა. აღმოსავლური კოლექციების კონსერვაციისა და გადაადგილების პროგრამის შემუშავებისას, 2008-2009 წლებში, გერმანელ კონსულტანტებთან ერთად, შეიქმნა ანალიტიკური სისტემა, რომელიც დაგვეხმარა, საცავებში გამოყოფილიყო მაქსიმალური რისკის ქვეშ მყოფი კოლექციები, რის საფუძველზეც შეფასდა დაგეგმვის ძირითადი კომპონენტები: პირველ ეტაპზე ჩატარდა კოლექციის აღწერა, დადგინდა, რა მდგომარეობაშია კოლექციები და რა პრევენციული ღონისძიებები იყო ჩასატარებელი, შეიქმნა მონაცემთა ბაზა. აღმოსავლური კოლექციის თითოეული ექსპონატი გაიწმინდა და შეიფუთა შესაბამისად. არტეფაქტების გაწმენდა მიმდინარეობდა რესტავრატორების მიერ დიაგნოსტიკური შემოწმების შემდეგ. პარალელურ რეჟიმში აღმოსავლური კოლექციის ფონდსაცავი აღიჭურვა ახალი საფონდო ავეჯით, ტენის მარეგულირებელი დანადგარით, ულტრაიისფერი დამცავი ფილტრებით და დაცვის თანამედროვე სისტემით. კლიმატის ყოველდღიური მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ექსპონატების თანდათან შეგუება ახალ კლიმატურ პირობებთან. ჩატარებული სამუშაოების შემდგომ ექსპონირებამდე კოლექციები ეროვნული მუზეუმის ახალ საცავებში განთავსდა."

ნინო კალანდაძის თქმით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების კონსერვაციისა და ევაკუაციის პროგრამა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კოლექციების სამომავლო ევაკუაციის პროცედურების ინსტრუქციად იქცევა.

თბილისში ტარდება ლადო ბეროზას პერსონალური გამოფენა-პროექტი BLACKOUT-ი

20 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დროებით საგამოფენო დარბაზებში იმართება საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და აიპ "კულტურის კვლევისა და კოორდინირების ცენტრის" მიერ ერთობლივად ორგანიზებული პროექტი - გერმანელ-ქართველი მხატვრის, ლადო ბეროზას პერსონალური გამოფენა-პროექტი BLACKOUT-ი. გამოფენასთან ერთად გამოიცემა კატალოგ-წიგნი, როგორც პროექტის ნაწილი. გამოფენა 17:00 საათზე გაიხსნება.

პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თბილისის მერიის თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი. გამოფენა იმართება გერმანია-საქართველოს ერთობლივი სამუზეუმო კონგრესის პარალელურ პროგრამაში. ლადო ბეროზა (ვლადიმერ ბეროზაშილი) ქართველი ემიგრანტია. 2000 წლიდან ცხოვრობს ბერლინში. 2010 წელს დაამთავრა ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტი და 2010-2011 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის მაისტერშულერი. 2010 წელს მიიღო "DAAD"-ეს დასრულების სტიპენდია. 2010 წლიდან ლადო ბეროზა არის მხატვართა კავშირის "Milchhof e.V in Berlin" წევრი. ცხოვრობს და მუშაობს ბერლინში.

"ლადო ბეროზაშვილის გამოფენა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება თანამედროვე გერმანია-საქართველოს კულტურული დიალოგის ფარგლებში და საინტერესო პროექტი საქართველოს ეროვნული მუზეუმის იმ აუდიტორიისთვის, რომელსაც თანამედროვე ხელოვნების მრავალწახნაგოვნება აინტერესებს" , - აცხადებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე. "გარემო, ეკოლოგია, ძველი და ახალი ფასეულობები, ადამიანი თანამედროვე დროში და ტრადიციები და მისი დამოკიდებულება თანამედროვე დროსა და სივრცესთან, თანამედროვეობასთან და ტრადიციებთან - საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილ- სკულპტურას, ინსტალაციას, მხატვრობასა და დიდ რელიეფებს სიღრმეში სწორედ ეს საკითხები უდევს. ლადო ბეროზას ხელოვნება საუკეთესო საშუალებაა დიალოგი გავმართოთ იმ ევროპულ ხელოვნებასთან, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს დასავლური არტისტული სივრცის ტენდენციებსა და ამოცანებს. აღნიშნული გამოფენა თავისი ფორმით, ესთეთიკითა და ფორმატით გამორჩეული პრეცენდენტია თბილისის საგამოფენო პროცესში", - აცხადებენ გამოფენის ორგანიზატორები.

ჯი-ეიჩ-ენი

ფერიის წმინდა სამების ტაძრის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება

ფერიის წმინდა სამების ტაძრის დასახმარებლად ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორებმა აცნობეს, კონცერტი დღეს 19:00 საათზე დაიწყება, რომლის დროსაც ტრიო "ქალაქურის" წევრები აჩიკო ბერიძე, ლევან კბილაშვილი, ლაშა გოგიაშვილი და მათი მეგობრები ქალაქური ჟანრის სიმღერებს შეასრულებენ. კონცერტიდან შემოსული თანხა ბათუმის (ფერიის) წმინდა სამების ტაძრის რეკონსტრუქციას მოხმარდება.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

"არტ ცენტრში" ფოტო-გამოფენა "სიცოცხლე ხაზის გასწვრივ" გაიმართება

21 სექტემბერს, 19:00 საათზე, "არტ ცენტრში" ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წევრის და დიდი ბრიტანეთის სამეფო ფოტოგრაფიული საზოგადოების წევრის რეი კუპერის ფოტო-გამოფენა "სიცოცხლე ხაზის გასწვრივ" გაიხსნება.

ღონისძიებას დაესწრება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელობა, საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. გამოფენა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, გორის საველე ოფისის ინიციატივითა და ორგანიზებით ეწყობა.

ჯი-ეიჩ-ენი

სკანდალურ ფილმში ერთ-ერთ როლს ქართველი მსახიობი ასრულებს

სკანდალურ ფილმში "მუსულმანთა უცოდველობა" ერთ-ერთ როლს ქართველი მსახიობი 21 წლის ანა გიორგობიანი, იგივე ანა გურჯი ასრულებს. როგორც ტელეკომპანია "რუსთავი 2"-თან საუბრისას ქართველმა მსახიობმა განაცხადა, ის მიმდინარე მოვლენებით ძალიან დათრგუნულია და როცა სიტუაცია დაწყნარდება და ხალხს ბრაზი გადაუვლის, აღნიშნულ საკითხზე კომენტარს მხოლოდ მაშინ გააკეთებს. ასევე, ამერიკულ ინტერნეტ- გამომცემლობა "hafington postze" გამოქვეყნდა გურჯის წერილი, რომელიც მსახიობმა ერთ-ერთ ვებგვერდზე განათავსა. ანა გიორგობიანი წერს, რომ არც მან და არც სხვა მსახიობებმა არ იცოდნენ სინამდვილეში, რა გეგმა ჰქონდათ ამერიკაში ამ ფილმთან დაკავშირებით. "მუჰამედი გადაღებების დროს არავის უხსენებია. ხალხი რომ მეკითხება, რა რეაქცია მქონდა ამ ფილმის ნახვის შემდეგ, ერთადერთსიტყვიანი პასუხი მაქვს - შოკი. ფილმი რომ ვნახე, ტირილი წამსკდა,"- ამბობს მსახიობი.

პრაიმ-ნიუსი

დიეგო ფორლანი: "წასვლაზე ფიქრის დრო არაა"

დიეგო ფორლანი

არც ისე ბევრი დრო არის, რაც ურუგვაელ ფორვარდ დიეგო ფორლანის შესახებ არ თქმულა და დაწერილა. ახლა იგი უკვე 33 წლისაა და 17 წლის განმავლობაში თამაშობს ტოპ დონეზე. ფორლანმა მოიარა არგენტინული, ინგლისური, ესპანური, იტალიური კლუბები და ახლა ბრაზილიაშია. მან მშვენივრად იცის, თუ რას ნიშნავს პოპულარობა და ყურადღების ცენტრში ყოფნა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2010 წლის მუნდიალის გმირად იქცა.

ახლა იგი ბრაზილიაში პორტო ალეგრეს კლუბ "ინტერნასიონალში" თამაშობს და სწორედ იქ შეხვდა ფიფას ჟურნალისტს, რომელსაც საკუთარ კარიერაზე და მომავალ გეგმებზე ესაუბრა.

- დიეგო რას ნიშნავს თქვენთვის სამხრეთ ამერიკაში დაბრუნება?

- უცხო ვითარება, უცხო ქვეყანაში - აი რას ნიშნავს. ევროპაში ათი წელი გავატარე და მივხვდი, რომ რაიმე უნდა შემეცვალა. ინგლისში, ესპანეთსა და იტალიაში ვათამაშობდი, საკმაო გამოცდილებაც მაქვს, თუმცა საჭირო იყო ატმოსფეროს შეცვლა.

- რომ არა პრობლემები, რომლებიც შეგექმნათ დარჩებოდით, თუ არა ევროპაში?

- არ ვიცი. ალბათ, მაინც არა. ევროპაში ათი ბრწყინვალე წელი გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს "ინტერში» აშკარად არ მიმართლებდა. მიწვევები ევროპული კლუბებიდანაც მქონდა, თუმცა გამოგიტყდებით, რომ არც ისე ამბიციური კლუბებიდან, "ინტერნასიონალი" კი ტოპ გუნდია და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, ამიტომაც არჩევანი სწორედ ბრაზილიაზე გავაკეთე და ამას არც ვნანობ. თანაც ახლა სამშობლოსთან და მშობლიურ სახლთან უფრო ახლოს ვარ.

- რამდენად რეალურია თქვენი დაბრუნება ევროპაში?

- სიმართლეს გეტყვით და ახლა ევროპაზე არ ვფიქრობ. 33 წლის ვარ და მინდა, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე ფეხბურთში. "ინტერნასიონალთან» კონტრაქტის დასრულების შემდეგ 36 წლის ვიქნები და ნამდვილად წარმოდგენა არ მაქვს, იმ პერიოდში, როგორ სპორტულ ფორმაში აღმოვჩნდები.

- ურუგვაიში თამაშზე არ გიფიქრიათ?

- არა. ჩემი სამხრეთ ამერიკაში დაბრუნების შესახებ არავინ იცოდა. "ინტერი" ტრანსფერს ბოლომდე საიდუმლოდ ინახავდა. ეს კი ნიშნავს, რომ ურუგვაულ კლუბებს ჩემთან დაკავშირების და კონტრაქტის შემოთავაზების შანსიც არ ჰქონიათ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ევროპაში დაუსრულებელი საქმეები დაგრჩათ?

- არა. რაც არ უნდა იყოს, ახლა ყველაფრით კმაყოფილი ვარ და მიხარია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე.

- რითი მიგიზიდათ ბრაზილიურმა ლიგამ?

- ბრაზილიის ჩემპიონატი ყოველთვის გამოირჩეოდა სიძლიერით. აქ ექვსი-შვიდი ტოპ კლუბია, რომლებიც სატურნირო ცხრილის პირველი ოთხი ადგილისთვის იბრძვიან. ბრაზილიაში ფანტასტიკური ფეხბურთელები თამაშობენ. არიან დიდი გუნდები და ჩემპიონატს რამდენიმე საინტერესო დერბი ამშვენებს.

- რა განსხვავებაა აქაურსა და ევროპულ ფეხბურთს შორის?

- პირველ რიგში, მინდვრის ზომები. აქ გაცილებით ფართე მოედნებია, ვიდრე ევროპაში და ფეხბურთელს მეტი სათამაშო სივრცე აქვს. ამავდროულად ამ სივრცეების შევსება რთულია, თუმცა დინამიზმით აქაური ფეხბურთი ევროპულს აშკარად აღემატება. განსხვავებულია ფეხბურთისადმი მიდგომა, მწვრთნელები და ფეხბურთელები. თუმცა, მოდით სიმართლეს თვალებში შევხედოთ, პატარა და ნაკლებად ამბიციური გუნდები ყველგან არსებობენ.

- მოდით ახლა ნაკრებზე ვისაუბროთ. როგორ შეაფასებდით ურუგვაის ნაკრების გამოსვლას ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე?

- აბა რა გითხრათ, ყველაფერი თავადაც ნახეთ. კიდევ ერთხელ დარწმუნდა ყველა, რომ ფეხბურთში გუნდების ძალები ნელ-ნელა გათანაბრდა. ნახეთ, როგორ ითამაშა არაბეთის გაერთიანებული საემიროების გუნდმა ან სენეგალმა. დღეს ლოგიკურ შედეგებს ვეღარ ვიღებთ, ფეხბურთი სულ უფრო და უფრო არაპროგნოზირებადი ხდება.

- ოლიმპიურ ნაკრებში თამაში არ გსურდათ?

- რატომაც არა. ალბათ, ისევე, როგორც კიდევ არაერთ ასაკოვან ფეხბურთელს. თუმცა, ჩვენ ვიცით წესები, ოლიმპიურ ნაკრებში მხოლოდ სამი ასაკოვანი ფეხბურთელის აყვანა შეიძლება და მე ამ სამეულში ვერ მოვხვდი. ეს ნორმალურად მივიღე, ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო.

- ოსკარ ტაბარესმა თქვა, რომ ურუგვაის ნაკრების წარმატების მთავარი მიზეზი მისი ასაკოვანი ფებურთელებია...

- დიახ. ნაკრებში უკვე დიდი ხანია ერთად ვართ, ერთმანეთის კარგად გვესმის. შეგვიძლია ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ, როგორც ლხინში, ასევე გაჭირვების ჟამს.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ გუნდის უკანასკნელ შედეგებზე იმანაც იმოქმედა, რომ უკვე ყველგან ფავორიტის სტატუსით თამაშობთ?

- არა. ხალხს შეიძლება ჩვენ ფავორიტებად მივაჩნდეთ, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ვიცით, რომ არავიზე ნაკლები არ ვართ, თუმცა მეტოქის სიძლიერესაც ჯეროვნად ვაფასებთ. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი კი ურუგვაისთვის ყოველთვის რთულად მიმდინარეობს ხოლმე. ეროვნული გუნდისთვის შესარჩევი ციკლი გარკვეულწილად მოსამზადებელი ეტაპიცაა, ჩვენ ყოველ თამაშში ვახერხებთ მომატებას.

- მიუხედავად ამისა, გულშემატკივარი ეიფორიაშია...

- დიახ და ესეც ნორმალურია. საკმაოდ დიდი პერიოდი გვქონდა წარმატებების გარეშე და ამას მოჰყვა ტრიუმფი მუნდიალზე და კოპა ამერიკაზე. პირადად მე ურუგვაის ნაკრების უკანასკნელი დიდი გამარჯვება 1987 წელს მახსოვს მაშინ ბავშვი ვიყავი და ურუგვაიმ კოპა ამერიკა მოიგო. ისე ის ტურნირიც არგენტინაში ჩატარდა.

-კარიერაში უკვე ყველაფერს მიაღწიეთ. 2012 წელს მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს, მოიგეთ კოპა ამერიკა, გახდით ურუგვაის ნაკრების ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი. მოტივაცია, თუ შეგრჩათ? რა მიზანს ისახავთ?

- არ ვარ ის კაცი, რომელმაც მიზანი უნდა დაისახოს, რათა მოტივაცია ჰქონდეს. მინდორზე ყოველთვის მოტივირებული გავდივარ. მე ენთუზიასტი ვარ და მინდორზე გასვლა სიხარულს თუ არ მომანიჭებს ფეხბურთიდან წავალ.

- კარიერის დასრულებას ბრაზილიურ მუნდიალზე ხომ არ გეგმავთ. თან იქნებ იქაც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეთ...

- ჯერ ბრაზილიურ მუნდიალზე თამაშის უფლება უნდა მოვიპოვოთ.

- მოდით თქვენს არასაფეხბურთო ცხოვრებაზეც ვისაუბროთ. რა არის ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი ფეხბურთელის ცხოვრებაში?

- მე ფებურთელის კარიერა ავირჩიე და ეს ფანტასტიკურია. მაქვს შანსი ვიმოგზაურო სხვადასხვა ქვეყნებში, აღმოვაჩინო სხვადასხვა კულტურები, მყავდეს მეგობრები და კოლეგები მსოფლიოს ყველა კუთხეში. არსებობს მეორე მხარე, ასე ვთქვათ, უარყოფითი. ოჯახს დროს ვერ უთმობ და ამის ანაზღაურება შეუძლებელია.

- თქვენ პოპულარობის დადებითი და უარყოფითი მხარეც ნახეთ...

- ეს ფეხბურთელის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მასთან ერთად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ.

- და ბოლო კითხვა, თქვენ თქვით, რომ კიდევ დიდხანს აპირებთ თამაშს. პენსიაზე გასვლის გეშინიათ?

- არა. ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდება. ახლა კი ვთამაშობ და ვცდილობ ამით სიამოვნება მივიღო. ერთი რამ ზუსტად ვიცი, მინდა ფეხბურთში დიდხანს დავრჩე და ახლა წასვლაზე ფიქრის დრო არაა.

შავ-წითელი ბრენდი საფრთხეშია

ყოველი სეზონის დასაწყისში წამყვანი საფეხბურთო კლუბები საშინაო მატჩებზე სეზონურ აბონიმენტებს ყიდიან. 2012-13 წლების სეზონში "მილანის" მიერ გაყიდულმა სეზონური აბონიმენტების რიცხვმა 22 106 შეადგინა, ასეთი დაბალი მაჩვენებელი სილვიო ბერლუსკონის ეპოქაში აქამდე არასდროს ყოფილა, თუმცა შედეგი კიდევ უფრო უარესიც შეიძლება ყოფილიყო.

1986 წლის 20 თებერვალი "მილანისთვის" ისტორიული დღე. კლუბი გაკოტრებისგან ბიზნესმენმა სილვიო ბერლუსკონიმ იხსნა, რომელმაც "როსონერიში» ნელ-ნელა სერიოზული ინვესტიციების ჩადება დაიწყო და გულშემატკივარმა სენიორ ბერლუსკონის ეს დაუფასა. მისი მოღვაწეობის პირველი ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც 40 000-ზე ნაკლები სეზონური აბონიმენტი გაიყიდა. ეს იყო 1998-99 წლებში, როცა "როსონერიმ" 39 487 აბონიმენტი გაყიდა. 2006 წლიდან მოყოლებული კი "მილანი» ტრადიციულად 40 ათასამდე აბონიმენტს ყიდის. და აი გამოჩნდა ახალი ათვლის წერტილი, რომელიც 20 000-ს უახლოვდება. "მილანისთვის" საგანგაშო რიცხვი. ასეთი ცოტა აბონიმენტის გაყიდვა ტოპ კლუბისთვის მიუღებელია.

ვითარებიდან გამოსავალის მოძებნა რთული არაა. არსებობს ორი მარტივი გზა. პირველი, "მილანმა" კვლავაც უნდა იყიდოს ვარსკვლავები და გაყიდვას უნდა შეეშვას.

როდესაც "როსონერიმ" "რეალს" კაკა მიჰყიდა, იმ სეზონში სეზონური აბონიმენტების გაყიდვა 15 ათასით შემცირდა და 42 822 ათასიდან თითქმის 27 ათასამდე დაეცა. მანამდე, ანდრეი შევჩენკოს "ჩელსიში» გადასვლამ გაყიდული აბონიმენტების რიცხვი 13 000-ით შეამცირა. სულ ახლახან კი "მილანი" ტიაგო სილვასა და ზლატან იბრაჰიმოვიჩს შეელია და 9 ათასით ნაკლები აბონიმენტი გაიყიდა, ვიდრე გასულ სეზონში. ამავდროულად აბონიმენტების გაყიდვის შემცირებაზე ისიც ახდენს გავლენას, რომ კარიერა დაასრულეს ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც არიან მალდინი და ინძაგი.

მეორე გზა ტურნირების მოგებაა. ყოველი წარმატებული სეზონი ზრდის აბონიმენტების გაყიდვის რაოდენობას. ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ გაყიდული აბონიმენტების რაოდენობა დაახლოებით 5 ათასით იზრდება, იტალიის ჩემპიონობა კი კიდევ ორი ათას გაყიდულ აბონიმენტს ნიშნავს.

თუმცა, თავადაც ხვდებით, რომ მეორე გზა მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველთან, თუ კლუბი ვარსკვლავებს არ იყიდის და საკუთარ ტოპ ფეხბურთელებს შეელევა, ტურნირების მოგება უბრალოდ შეუძლებელი ხდება.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც აბონიმენტების გაყიდვაზე ზეგავლენას ახდენს ევროკავშირში არსებული ფინანსური კრიზისია, თუმცა ეს ფაქტორი ყველა კლუბს ერთნაირად აწუხებს. "მილანის" ბრენდი კი სხვებთან შედარებით უფრო სწრაფად უფერულდება.

თორნიკე შენგელია: "ვეცდები, მინიმალური დრო მაქსიმალურად გამოვიყენო"

პირველი გვერდიდან

მას მერე თორნიკემ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ევროშესარჩევ ტურნირში ითამაშა და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამერიკაში გამგზავრების წინ თორნიკეს დავუკავშირდით...

- ეროვნული ნაკრების ბოლო მატჩი ჰოლანდიასთან ტრავმის გამო გამოტოვე. ეხლა როგორი სიტუაციაა?

- კუნთი მქონდა დაჭიმული და ჰოლანდიასთან შეხვედრაც ამის გამო გამოვტოვე. დასვენებამ დადებითად იმოქმედა, ფეხი აღარ მაწუხებს.

- ვარჯიში განაახლე?

- არა, ვისვენებ. ძალიან დატვირთული სეზონი მქონდა, თან საკმაოდ მძიმე ტრავმა გადავიტანე და არ მინდა ფეხი კიდევ უფრო დავტვირთო. რამდენიმე დღეში ამერიკაში მივდივარ და მსურს, ახალ კლუბში ჯანმრთელად, დასვენებული ჩავიდე. ნაკრების მატჩების დასრულების შემდეგ აღარ მივარჯიშია და დასვენება ძალიან წამადგა.

- ამერიკაში როდის მიემგზავრები?

- ვიზას ველოდები, რომელსაც 3-4 დღეში მივიღებ და ამერიკაშიც წავალ.

- "ბრუკლინიდან" თუ გეხმიანებიან?

- კლუბის ოფისიდან პერიოდულად მირეკავენ. "ბრუკლინში" ინფორმირებულები არიან ჩემი გრაფიკის თაობაზე და ელიან, როდის ჩავალ.

- ბრუკლინში საყოფაცხოვრებო პირობები მოგვარებული გაქვს?

- არა და ადრიანად ჩასვლაც ამიტომ მინდა. უნდა ვიშოვო ბინა, მანქანა და მოვაგვარო სხვა საყოფაცხოვრებო პირობები. "ბრუკლინი" ვარჯიშს 1 ოქტომბერს იწყებს და მანამდე სხვა საკითხების მოსაგვარებლად რამდენიმე დღე მექნება.

- 1 ოქტომბერს "ბრუკლინი" სრული შემადგენლობით იკრიბება?

- დიახ, გუნდში ყველა კალათბურთელი უნდა გამოცხადდეს. სეზონი ოქტომბრის ბოლოს იწყება, მანამდე კი რამდენიმე საგამოფენო მატჩი უნდა ჩავატაროთ.

- "ბრუკლინ ნეთსს" 16 კონტრაქტიანი კალათბურთელი ჰყავს, რამდენიმეც ისე ვარჯიშობს. ამხელა კონკურენციის დასაძლევად მზად ხარ?

- კონკურენცია ნამდვილად დიდია. ყველაფერი იქ გაირკვევა, რომ ჩავალ და გუნდთან ერთად ვივარჯიშებ.

- "ბრუკლინში" შენი ერთ-ერთი კონკურენტი ბოსნიელი მირზა ტელეტოვიჩია, რომლის წინააღმდეგაც ევროშესარჩევ ტურნირში ორჯერ ითამაშე...

- ტელეტოვიჩი გამოცდილი, მაღალი დონის კალათბურთელია. მის წინააღმდეგ რაც შემეძლო, გავაკეთე როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. ის უფრო კარგი მსროლელია, ვიდრე ფარქვეშ ძალისმიერად მოთამაშე. ვნახოთ, ყველაფერს მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს. ტელეტოვიჩის გარდა "ბრუკლინში" არაერთი კარგი ფორვარდია.

- შენი კარიერის მანძილზე სულ პროგრესირებ. როგორ ფიქრობ, ეს პროცესი ნბა-შიც გაგრძელდება?

- საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ. მჯერა, რომ შრომით და თავდადებით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. აქამდე არაფერი დამიშურებია და ახლა უფრო მეტად მოტივირებული ვარ, რადგან იქ მოვხვდი, სად მოხვედრაზეც მსოფლიოს ნებისმიერი კალათბურთელი ოცნებობს. იმედი მაქვს, მოედანზე გასვლის შანსი მომეცემა და ვეცდები, მინიმალური დრო მაქსიმალურად გამოვიყენო.

- გუნდის ვებ-გვერდზე შენს გასწვრივ 20 ნომერი წერია...

- დიახ, 20 ნომერი ვიქნები. თავდაპირველად სხვა ნომრები ავირჩიე, მაგრამ ყველა დაკავებული იყო. ბოლოს 20 ნომერზე შევჩერდი, რომლითაც ბელგიურ "შარლერუაში" ვთამაშობდი. იმედი მაქვს, ეს ნომერი ჩემთვის ამერიკაშიც იღბლიანი იქნება.

gbf.ge

ვენგერი ვან პერსის შესახებ



რობინ ვან პერსი

"არსენალში" გატარებული რვა სეზონის შემდეგ ჰოლანდიელი ფორვარდი რობინ ვან პერსი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა და არსენ ვენგერს გული ატკინა. ფრანგი სპეციალისტი eurosport-ის ოფიციალური ვებგვერდის მესვეტეა და თავისი უკანასკნელი მასალა სწორედ რობინ ვან პერსის მიუძღვნა.

"ვან პერსი არის ფეხბურთელი, რომლის დარიც შესაძლოა სიცოცხლის მანძილზე ვერ ნახოთ. იგი გამონაკლისია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მას აქვს ყველაფერი, რაზეც კი შეიძლება ოცნებობდეს მწვრთნელი: ჭკვიანია, ძლიერი, მოედანზე გააზრებულად მორძრაობს და მკვლელის ინსტინქტი გააჩნია. რობინი მთელი 90 წუთის განმავლობაში კონცენტრირებულია.

მას ძალიან უყვარს ფეხბურთი. თავისუფალ დროსაც თამაშებს უყურებს და ყველაფერს აანალიზებს. ეს არის ტალანტის, ამბიციის და ოსტატობის უნიკალური შერწყმა. მან ჩემთან რვა სეზონი გაატარა და მუდმივად პროგრესირებდა. ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ მიაღწევდა იმას, რასაც მიაღწია. გული მტკივა, რომ ფორმის პიკში სხვა კლუბის შემადგენლობაშია.

რობინთან მუშაობა ძალიან მარტივია, ვინაიდან იგი ულტრა პროფესიონალია. ყოველ საღამოს იგი სახლში ატარებს. საღამოს ათ საათზე თუ დაურეკავთ აუცილებლად სახლში იქნება ან რაიმე თამაშს უყურებს ან მომდევნო მატჩისთვის ემზადება. დიახ, შესაძლოა რამეში არ დაგეთანხმოთ, მაგრამ ეს ნორმალურია იგი ძლიერი პიროვნებაა და საკუთარი პოზიცია გააჩნია. ზუსტად ისე იქცევა, როგორც ნამდვილი ჰოლანდიელები, როდესაც საუბარი ფეხბურთს ეხება. დიახ, გარკვეულწილად ჯიუტია, მაგრამ მასთან მუშაობა მაინც ძალიან ადვილია, ვინაიდან რობინს მიაჩნია, რომ მისი თითოეული მოძრაობა იდეალური უნდა იყოს და ამისთვის ყველაფერს აკეთებს.

ახლა იგი ჩვენთან არ არის და ნუ სთხოვთ ფანებს გაიგონ ის, რისი გაგებაც შეუძლებელია. ზოგჯერ მეც კი არ მესმის, თუ რატომ გავუშვით რობინი. დიახ, გულის სიღრმეში შეიძლება ვხვდებოდე რომ გუნდისთვის ეს შესაძლოა უკეთესი იყო, მაგრამ მაინც არ მესმის. უბრალოდ არსებულ ვითარებას უნდა შევეგუოთ. რას ვიზამთ ასეთია საფეხბურთო ცხოვრება.

მერჩივნა, რომ იგი სხვა ქვეყანაში წასულიყო სათამაშოდ და სეზონის განმავლობაში ჩვენს წინააღმდეგ რამდენჯერმე არ ეთამაშა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ეს ჩვენთვის ახალი გამოწვევაა. ასეთი ტრანსფერის შემდეგაც უნდა შევძლოთ არსებობა. უნდა დავამტკიცოთ, რომ გოლების გატანა რობინის გარეშეც შეგვიძლია.

ახლა ვან პერსის ჰყავს რუნი ვისთანაც ერთად ითამაშებს. ზოგჯერ გენიალურ ფორვარდებს ერთად თამაში არ შეუძლიათ. თუმცა, თუ ჩვენ ამ ორი ფეხბურთელის შესაძლებლობებს გავაანალიზებთ მივხვდებით, რომ იდეალური დუეტი მივიღეთ. უბრალოდ საჭიროა ოდნავი მოთმინება და ეს ფეხბურთელები ერთმანეთს აუცილებლად გაუგებენ. ჯერჯერობით ცალ ცალკე აღწევენ წარმატებას, თუმცა ეს უკვე ორივეს წარმატებაა, რობინი და უეინი ერთმანეთს გაუგებენ და მერწმუნეთ სუპერ დუეტი შეიქმნება.

964 Ferrari!

დამყარდა მსოფლიოს ახალი რეკორდი, რომელიც სავარაუდოდ, გინესის რეკორდების წიგნშიც შევა. სილვერსტოუნში (ნორთჰემპტონში, დიდი ბრიტანეთი) ჩატარდა აღლუმი, რომელშიც 964 Ferrari იღებდა მონაწილეობას. წინა რეკორდი იაპონიაში 2008 წელს დამყარდა და საოცარ აღლუმში სულ 490 მანქანა მონაწილეობდა.

სილვერსტოუნში ჩატარებული ღონისძიება საქველმოქმედო იყო Ferrari-მ საავტომობილო მრეწველობაში მოღვაწე ადამიანებისთვის დაწესებულ ფონდში თითო მანქანაზე 5 ათასი გირვანქა გადარიცხა.

"სიტის" კატალონიური ტრიო დასჭირდა

ბრიტანულ გამოცემა Talksport-ის ინფორმაციით, "მანჩესტერ სიტი" "ბარსელონას" სამი ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენით დაინტერესდა. "სიტის" აღმასრულებელი დირექტორი ფერნან სორიანო, რომელიც ადრე "ბარსელონაში" მუშაობდა, "ქალაქელებს" კრისტიან ტელიოს, სერხი რობერტოს და ხერარდ დელოფეის შეძენას სთავაზობს.

რა სურს ფაბრეგასს

კატალონიური "ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებას დღეს დაიწყებს. "ბარსას" პირველი მეტოქე მოსკოვის "სპარტაკი" იქნება. კატალონიელთა ერთ-ერთი ლიდერი სესკ ფაბრეგასი კი უკვე ფინალზე ოცნებობს.

"იდეალური ვარიანტი იქნება, თუკი ფინალში გავალთ და იქ "ჩელსის" შევხვდებით, რათა გასულ სეზონში განცდილი მარცხის გამო ღირსეული რევანში ავიღოთ. თუკი მოვლენები მართლაც ასე განვითარდება, ძალიან კმაყოფილი დავრჩები" - განაცხადა ფაბრეგასმა.

აშკარაა, სესკს გასულ სეზონში განცდილი მარცხის გამო რევანშის აღება სწყურია.

პლატინი 2021 წელს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატებს ერთი თვით შეაჩერებს

Inside World Football-ის ცნობით, უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი 2022 წლის ყატარის მსოფლიო ჩემპიონატის ზამთარში ჩატარების მიზნით გეგმავს 2021 წლის დეკემბერში ევროპის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები ერთი თვით შეაჩეროს.

უეფას ხელმძღვანელის აზრით, ევროპის საკლუბო პირველობათა კალენდრის ივნისამდე გაგრძელება ერთადერთი საშუალებაა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი არ ჩატარდეს ზაფხულის 50-გრადუსიან სიცხეში.

"ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდეს ზამთარში,- მომავლის გეგმას სახავს პლატინი. - გულშემატკივართათვის ასე ბევრად უკეთესი იქნება, მაგრამ საამისოდ იანვარი არაა შესაფერისი, რამდენადაც ამ დროს ზამთრის ოლიმპიური თამაშებია. ამიტომაც მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი დრო ნოემბერ-დეკემბერია".

ნეიმარს სახლი მოენატრა და "რეალზე" უარი განაცხადა

მადრიდის "რეალი" კარგა ხანია აკვირდება ბრაზილიური "სანტოსის" ფორვარდ ნეიმარს. თურმე, როდესაც ნეიმარი 12 წლის იყო მან მადრიდული კლუბიდან მიწვევა მიიღო. მადრიდში ჩასულ ნეიმარს "რეალის" ხელმძღვანელები შეხვდნენ და ბავშვის დატოვებაც სურდათ. თუმცა პატარა ნეიმარს სახლი მოენატრა და "რეალში" აღარ დარჩა.

"პირველ დღეებში აღფრთოვანებული ვიყავი. შემდეგ კი მოვიწყინე და ოჯახი მომენატრა. შედეგად, მამას ვთხოვე, რომ სახლში დავბრუნებულიყავით", - აცხადებს ნეიმარი.

განსო ვერც "სან პაულუში" გადავიდა

ბრაზილიის ნაკრებისა და "სანტოსის" პლეიმეიკერ განსოზე ნეიმარის დარად დიდი მოთხოვნილებაა. ამ ფეხბურთელს არაერთი ევროპული კლუბი იწვევს, თუმცა განსო ოკეანის გადალახვას არ ჩქარობს და კარიერის გაგრძელება ბრაზილიაში სურს. თუმცა კლუბის გამოცვლა ეტყობა მაინც მოუწევს და "სანტოსიდან" "სან პაულუში" აპირებს გადაბარგებას. თითქოს ამ ტრანსფერს წინ აღარაფერი უდგას, მაგრამ გარიგება "სანტოსის" პრეზიდენტმა ალვარო დე ოლივეირა რიბეირომ ჩაშალა.

საქმე ისაა, რომ "სან პაულუ" ტრანსფერის თანხას ორ ნაწილად ყოფდა და "სანტოსისთვის" ფული ორ ჯერზე უნდა მიეწოდებინა, რიბეირომ კი თანხის ერთიანად მიღება ისურვა.

50 Cent მეივეზერ-უმცროსს დაშორდა, პაკიაო მარკესს შეეყარა

გადაწყვეტილია მარკესი VS პაკიაო მეოთხედ!

გიგა გურასაშვილი

ბევრისთვის მოულოდნელად ბევერლი-ჰილზმა მეოთხე ორთაბრძოლის პრეზენტაციას უმასპინძლა. მოულოდნელი აქ წონითი კატეგორიების მიუხედავად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივეს, რვა სხვადასხვა წონის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ფილიპინელ მენი პაკიაოსა და სამი წონითი კატეგორიის ასევე ყოფილ მსოფლიო ჩემპიონისა და პირველ საშუალო წონაში კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) მოქმედი ჩემპიონის მექსიკელი ხუან მანუელ მარკესის სახელების გახმოვანება აღმოჩნდა. უჩვეულოა ისიც, რომ პირველად ფილიპინელისა და მექსიკელის დაპირისპირებისას 8 დეკემბერს, MGM Grand-ის რინგზე არ იქნება გამოფენილი მსოფლიო ჩემპიონის ქამარი. ანუ უტიტულო ჩხუბთან გვაქვს საქმე.

როგორც არ უნდა იყოს, ორივე მოკრივე დათანხმდა ნახევრად საშუალო წონაში (66,68 კილოგრამამდე) ყოველგვარი საშუალედო წონითი ლიმიტების გარეშე იჩხუბონ.

33 წლის ფილიპინელთან მეოთხე ჩხუბის შესაძლებლობით გაოცებას არ ფარავს თავად მარკესიც (54 მოგება, აქედან 39 ნოკაუტით, 6 წაგება და ერთიც ფრე) მსგავს გადაწყვეტილებას არც ველოდიო.

"ყოველთვის მეგონა, რომ პაკიაო (54 მოგება, აქედან 38 ნოკაუტით, 4 წაგება და ორიც ფრე) აღარ დამიპირისპირდებოდა, - მარკესს ციტირებს BoxingScene.com. - ყოველივე მეტად მაწუხებდა და ძალიან გამიკვირდა, როდესაც ჩემთან ჩხუბი ისურვა. ახლა ძალზე ბედნიერი ვარ. ისღა დამრჩენია მასთან ორთაბრძოლამდე თავდაუზოგავად მოვემზადო. პაკიაო მიცნობს, მე კი მას ვიცნობ. ორთაბრძოლამდე სისწრაფეზე ვიმუშავებ. მიმაჩნია, რომ პირველი სამი ჩხუბი მოვიგე. ამ ორთაბრძოლას რამე ახალი უნდა შევმატო და ამავდროულად შევძინო მეტი დამაჯერებლობა".

ამავე პრეზენტაციისას ისიც გაირკვა, რომ რეპერი 50 Cent (კეტრის ჯეკსონი) აღარ იმუშავებს ამერიკელ ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან. საქმე ისაა, რომ რეპერმა საკუთარი საპრომოუტერო კომპანია TMT დაარსა და იქვე რამდენიმე ცნობილ მოკრივესთან ხელშეკრულებებიც დადო. იყო ვარაუდი, რომ მეივეზერ-უმცროსის (43 მოგება, აქედან 26 ნოკაუტით და არცერთი წაგება) პრომოუტერიც 50 Cent-ის იქნებოდა. ეგაა, რეპერმა და მეივეზერ-უმცროსმა თანამშრომლობაზე უარი თქვეს და ყველა ვისაც TMT-თან ჰქონდა ურთიერთობა Mayweather Promotions-ში გადაბარგდა.

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge